ამირან ჯაფარიძე

ტურისტული მომსახურების ხელშეკრულება საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და ევროკავშირის სამართლის მიხედვით

წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
თბილისი, 0178, საქართველო
2020 წელი

საავტორო უფლება © 2020 წელი, ამირან ჯაფარიძე

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ავტორი ადასტურებს, რომ სამაგისტრო ნაშრომი მომზადებულია მის მიერ, ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალა ციტირებულია ისე, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

სამაგისტრო ნაშომის არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლებას ავტორი ანიჭებს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა: _____

თარიღი :

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი ამირან ჯაფარიძის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: ,,ტურისტული მომსახურების ხელშეკრულება საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და ევროკავშირის სამართლის მიხედვით“ და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სპეციალური კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: _____

თარიღი :

რეზიუმე

სამაგისტრო ნაშრომი თემაზე: ,,ტურისტული მომსახურების ხელშეკრულება საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და ევროკავშირის სამართლის მიხედვით“ შესრულდა აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში, ამირან ჯაფარიძის მიერ, სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოპოვების მიზნით. თემაზე მუშაობა გადაწყდა დარგის პრიორიტეტულობისა და მისი სამართლებრივი მოწესრიგების არასათანადოდ შესწავლისა და რეგულირების გამო. ტურიზმი მრავალი ქვეყნის, მათ შორის საქართველოს ეკონომიკისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის დარგია. მომსახურების ინდუსტრიაში დასაქმების უმეტესი წილი სწორედ ტურიზმზე მოდის. იგი მოიცავს სხვადასხვა სერვისს რომელიც მომსახურების სფეროს უდიდესი ნაწილია. აღნიშნული სერვისები ყველაზე დეტალურადაა მოწესრიგებული ევროკავშირის სამართლით, ხოლო ქართული სამართლებრივი მოწესრიგება დარგის დეტალურ რეგულირებას არ მოიცავს. ვინაიდან, საქართველოს ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებით აღებული აქვს ვალდებულება, შესაბამისობაში მოიყვანოს ეროვნული კანონები ევროკავშირის ნორმებთან, მათ შორის ტურიზმის სფეროში, დამუშავებული თემა თავისი მნიშვნელობით აღნიშნული კუთხითაც იმსახურებს ყურადღებას. უნივერსიტეტის მდიდარი ელექტრონული ბიბლიოთეკა და ინტერნეტ რესურსების ეფექტურად გამოყენება საშუალებას იძლეოდა შესრულებულიყო აკადემიური ნაშრომი მსოფლიოში მძვინვარე COVID-19 პანდემიის მიუხედავად.

Abstract

The master's thesis on "Tourism Service Agreement under the Civil Code of Georgia and EU Law" was composed by Amiran Japaridze in order to obtain the academic Master's degree of Laws at the Eastern European University. To work on the topic was decided due to the priority of this field as well as improper study and adjustment of its legal regulation. Tourism is vital to the economy in many countries, including Georgia. Tourism accounts for the largest share of employment in the service industry. It includes a variety of services that are the largest part of the service industry. These services are mostly well-regulated by EU law whereas Georgian one does not include detailed regulation of this sector. Since Georgia has an obligation under the Association Agreement with Europe to bring national laws in line with EU norms, including the field of tourism, the developed topic deserves to be payed attention in this regard. The university's rich electronic library and efficient use of Internet resources have enabled academic work to be carried out despite the global outbreak of the raging COVID-19 pandemic.

შინაარსი

I. შესავალი 7

II. ლიტერატურის მიმოხილვა 12

III. შედეგები და მათი განსჯა 14

1. ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების არსი და მნიშვნელობა .. 14

2. ტურისტული მომსახურების საკანონმდებლო რეგულირება.

2.1. ეროვნული კანონმდებლობა 20

2.2. ევროკავშირის კანონმდებლობა 27

3. შედარებით-სამართლებრივი ანალიზი 32

3.1. შესადარებელი სამართლის საერთო მიმოხილვა 32

3.2. ლიცენზირების საკითხი ტურისტულ მომსახურებაში 34

3.3. ტურისტული მომსახურების მინიმალური ხანგძლივობა 37

3.4. სანდო და სწორი ინფორმაციის მნიშვნელობა ტურისტულ მომსახურებაში 39

3.5. გადახდისუუნარობის საკითხები ტურისტული მომსახურების ხელშეკრულებაში 43

3.6. ორგანიზატორის პასუხისმგებლობის თვითშეზღუდვა 46

3.7. ხარვეზი ტურისტულ მომსახურებაში 48

3.8. დაუძლეველი ძალა ტურისტულ მომსახურებაში..... 53

3.9. ხანდაზმულობა ტურისტული მომსახურების ხელშეკრულებაში 55

IV. დასკვნა 59

გამოყენებული ლიტერატურა 64

I. შესავალი

საქართველოს კონსტიტუციით დამკვიდრებულია დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო.[1] ტურიზმი თანამედროვე საქართველოში არის მრავალგანზომილებიანი, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული, კონსტიტუციით დაცული ფენომენი. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ტურიზმის განვითარება დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას უწყობს ხელს და ქმნის სტაბილურ ეკონომიკას. კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ობიექტების რაციონალური გამოყენება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი უმთავრესი ქვაკუთხედია. აღნიშნულს ადასტურებს ის რომ საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა ქვეყნის განვითარების გეგმა, რომელთაგან ერთ-ერთია ეკონომიკური განვითარება, დარგობრივი ეკონომიკური პოლიტიკის განვითარებაში კი ტურიზმს მნიშვნელოვანი როლი უჭირავს,[2] თუმცა აღნიშნული სამთავრობო პროგრამები პირდაპირ არ მოიაზრებს ტურიზმის კანონმდებლობის დახვეწას.

ტურიზმის განვითარების უმთავრესი მიზანია უზრუნველყოს როგორც ადამიანისა და მოქალაქის ღირსეული ცხოვრება და თავისუფალი განვითარება, აგრეთვე სოციალურ-სამართლებრივი სახელმწიფოს მდგრადი ეკონომიკური განვითარება. ტურიზმის მდგრადი განვითარება სათანადო იურიდიული დახმარების გარეშე კი შეუძლებელია. სამართალი აღნიშნული სფეროს უფრო სტაბილურს, ეფექტურს და უსაფრთხოს ხდის.[3]

ქართველი ცივილისტების მიერ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსზე მუშაობისას იქნა გააზრებული ტურიზმის მნიშვნელობა და

---

[1] საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული: 24/08/1995 წ.-ს საქართველოს პარლამენტის მიერ, დოკუმენტის №786, იხ. htt ps://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35

[2] საქართველოს მთავრობის პროგრამა "თავისუფლება სწრაფი განვითარება კეთილდღეობა". სამთავრობო პროგრამა 2016-2020წწ. ხელმისაწვდომია აქ: http://www.parliament.ge/uploads/other/97/97052.pdf გვ.29-30.[ბოლოს შემოწმდა 04.04.2020]

[3] ცერცვაძე გ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 18.04.2016, მუხ. 657, ველი 3. http://www.gccc.ge/

სამოქალაქო კოდექსის მეთერთმეტე თავი სრულად მიეძღვნა ტურისტულ მომსახურებას და ეროვნულ დონეზე ტურიზმის მომსახურების ძირითადი საკანონმდებლო უზრუნველყოფა და ამ სფეროში არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ნორმები, რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 თავით,[4] თუმცა ბოლო წლების საკანონმდებლო საქმიანობამ პოზიტიური გავლენა ვერ მოახდინა ქვეყნის ტურიზმის განვითარებაზე. აღსანიშნავია, რომ დასახელებულ თავს საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 28 აპრილის კანონით დაემატა მთელი რიგი ნორმები, რომლითაც შემოიღეს ტურისტის უფლებების დამატებითი დაცვის გარანტიები და ამაღლდა ტურისტული კომპანიების პასუხისმგებლობის ხარისხი, თუმცა ტურიზმის დარგში სახელშეკრულებო ურთიერთობები რეგულირდება არა რომელიმე ერთიანი საკანონმდებლო აქტით, არამედ ქვეყანაში მოქმედი სხვადასხვა სამართლებრივი აქტებითა და კანონებით.

წინამდებარე ნაშრომით, შევეცდები წარმოვაჩინო, არსებული ხარვეზების მოგვარებისათვის თუ რა კუთხით უნდა განვითარდეს ქვეყანაში ტურიზმის შესახებ ყველა სამართლებრივი რეგულაცია და მიღებულ იქნას ყოვლისმომცველი კანონმდებლობა, რომელიც ხელს შეუწყობს ტურიზმის ეროვნული პოლიტიკასა და პრიორიტეტებს.

ამ კუთხით აღსანიშნავია რომ ,,პრიორიტეტული დარგის მოძველებული კანონმდებლობა“ წარმოაჩენს საკითხის კვლევის აქტუალობას,[5] შესაბამისად წინამდებარე ნაშრომში განხილულია ტურისტული მომსახურების მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმები და შედარებულია ევროკავშირის სამართალთან, რაც საშუალებას იძლევა წარმოჩინდეს ის სამართლებრივი კალაპოტი, რომლის მიხედვითაც უნდა განვითარდეს ტურისტული მომსახურების ქართული სამართალი, რათა

---

[4] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მიღებული: 26.06.1997წ.-ს საქართველოს პარლამენტის მიერ, დოკუმენტის №786, იხ. https://matsne.gov.ge/document/view/31702

[5] ტურიზმის რეგულირება, პრიორიტეტული დარგის მოძველებული კანონმდებლობა, ბათუმის ტურიზმის ინსტიტუტი, ბათუმი, 2017, გვ.2. იხ. http://tourisminstitute.ge/files/attach/tourism_regulation.pdf

სრულად შესრულდეს ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და მოხდეს ქართული სამართლის ევროკავშირის რეგულაციებთან დაახლოება.

ამავე დროს, ტურისტული მომსახურების შესახებ ქართულ კანონმდებლობას სჭირდება შემდგომი განვითარება და გაუმჯობესება, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების, წესებისა და სტანდარტების რეცეფცია, სამართლებრივი რეგულირების საუკეთესო ეროვნული ტრადიციების გათვალისწინებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა ტურიზმის პრაქტიკული და თეორიული იურიდიული მხარდაჭერა, შესაბამისი საერთაშორისო და ევროპული გამოცდილების განხილვის ჩათვლით.

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის მიზანია: ტურისტული მომსახურების ხელშეკრულებაზე წარმოადგინოს სამართლებრივი საფუძვლების სისტემატური შეფასება, მისი ფუნქციონირების და განვითარების პერსპექტივის ფარგლებში, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე მსოფლიოში, კერძოდ კი, ევროკავშირის სამართლის მაგალითზე. ტურისტული მომსახურების სამოქალაქო კოდექსის ცალკე თავში მოქცევით ქართველი ცივილისტების ქმედება უნდა მიუთითებდეს, მისი როგორც დამოუკიდებელი აკადემიური დისციპლინის სწავლების აუცილებლობაზე იურიდიულ სკოლებში, თუმცა გერმანიის სამოქალაქო კოდექსი ტურისტულ ხელშეკრულებას ცალკე არ გამოყოფს და მას, როგორც ნარდობის ხელშეკრულების განსაკუთრებულ სახედ განიხილავს.[6]

უნდა აღინიშნოს რომ ტურისტული მომსახურების ერთიანი მოწესრიგება ბევრ ქვეყანას არ აქვს და იგი რამოდენიმე საკანონმდებლო აქტშია გაფანტული, ევროკავშირში აღნიშნული საკითხი რეგულირდება შესაბამისი დირექტივებით. აღნიშნულ სფეროში პირველი დირექტივა იყო „1990 წლის 13 ივნისის საბჭოს 90/314/EEC დირექტივა ,,მოგზაურობის,

[6] კროპჰოლერი, ი., მთარგმნელები - ჭეჭელაშვილი ზ., დარჯანია თ., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოც., საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი GIZ-ის დავალებით, თბილისი, 2014, გვ.489. http://lawlibrary.info/ge/books/giz2014-ge-BGB-Komm-Translation.pdf

არდადეგებისა და ტურების პაკეტების შესახებ“, რომელიც განსაზღვრავდა ტურისტული მომსახურების მომწესრიგებელ ნორმებს. 2016 წლის პირველი ივლისიდან ძალაში სრულად შევიდა „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“. ასოცირების ხელშეკრულებით განისაზღვრა რომ საქართველოს აღნიშნული დირექტივის ასახვა უნდა მოეხდინა ეროვნულ კანონმდებლობაში, თუმცა 2015 წლის 25 ნოემბერს თავად ევროკავშირმა მიიღო ახალი დირექტივა „ევროპული კავშირის ახალი 2015/2302 დირექტივა ტურისტული პაკეტისა და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ“, რომელიც ახლებურად აწესრიგებს აღნიშნულ საკითხებს. შესაბამისად, ასოცირების ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე, საქართველომ შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს შიდა კანონმდებლობა ახალ დირექტივასთან. ამასთან დაკავშირებით სამაგისტრო ნაშრომში შეფასებული იქნება ზოგიერთი ქართული სამართლებრივი პუბლიკაცია, სადაც მითითებულია, რომ გაურკვეველია, რა მიზანს ემსახურება ასოცირების შეთანხმებაში დღეისათვის გაუქმებული ან შინაარსშეცვლილი დირექტივების მითითება.[7]

კვლევა წარმოებულია ანალიტიკური მეთოდის, მათ შორის შედარებით-სამართლებრივი ანალიზის გამოყენებით, ხოლო კვლევის ფარგლებში გაანალიზდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა, სახელმწიფო უწყებების პოლიტიკური დოკუმენტები და სხვა ქვეყნების კანონმდებლობა. კერძოდ, ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული დირექტივის დებულებების ნორმატიული შინაარსის გაგების მცდელობით და მისი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებთან შედარებით წარმოჩენილი იქნება კანონმდებლობის ნაკლოვანებების ანალიზი და კვლევის შედეგების გაუმჯობესებისათვის მოყვანილი იქნება ზოგადი

[7] ლაკერბაია თ., ზაალიშვილი ვ., ზოიძე თ., ზოიძე ბ. (რედ.), მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი (ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა), შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, 2018. გვ.90. https://law.ibsu.edu.ge/api/uploads/Consumer-Law.pdf

რეკომენდაციები, რომლებიც ტურისტული სექტორის ფართო გამოცდილებას და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას ეყრდობა. რეკომენდაციები სიახლე იქნება ქართული სამართლისათვის და დარგის განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის განმარტებით ტურისტები არიან „ხალხი, რომელიც ტოვებს თავის ჩვეულ გარემოს და მიემგზავრება სხვა ადგილას ერთ თანამიმდევრულ წელზე ნაკლები ხნით, დასვენების, თავისუფალი დროის ხარჯვის ან სხვა მიზნებით.[8] ტურისტულ ბაზარზე ზეგავლენას ყოველთვის ახდენდა მსოფლიოში მიმდინარე სხვადასხვა მნიშვნელოვანი მოვლენა. ასე მაგალითად, 2008 წლის მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა ტურიზმზე საგრძნობლად უარყოფითად იმოქმედა და ამავე წელს საერთაშორისო ტურისტული ჩასვლების რიცხვმა 2%-ით იკლო.[9] აღნიშნული უარყოფითი ტენდენცია გაგრძელდა 2009 წელს, რადგან ბევრ ქვეყანაში გავრცელდა H1N1 ვირუსი, რასაც საერთაშორისო ტურისტული ჩასვლების 4%-იანი კლება მოჰყვა და მიღებული შემოსავლები კი 6%-ით შემცირდა.[10] წინამდებარე ნაშრომზე მუშაობისას მსოფლიოში პანდემია გამოცხადდა ვირუსი COVID-19-ის საყოველთაო გავრცელების გამო. აღნიშნული მოვლენა ტურიზმს უდიდესი გამოწვევების წინაშე აყენებს. სამაგისტრო ნაშრომით, კომპეტენციის ფარგლებში წარმოდგენილი იქნება პრობლემის გადაჭრის სამართლებრივი საშუალებები და მექანიზმები, რომელიც სიახლე იქნება ქართული კანონმდებლობისათვის და დაეფუძნება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.

---

[8] UNWTO technical manual: Collection of Tourism Expenditure Statistics (PDF). World Tourism Organization (1995).
https://www.pub.unwto.org/WebRoot/Store/Shops/Infoshop/Products/1034/1034-1.pdf

[9] UNWTO World Tourism Barometer June 2008. თარიღი: 2008-08 01
http://www.tourismroi.com/Content_Attachments/27670/File_633513750035785076.pdf.

[10] World Tourism Organization releases tourist arrival statistics (worldtourismdirectory.com) 2010
http://www.worldtourismdirectory.com/news/10275

II. ლიტერატურის მიმოხილვა

მას შემდეგ, რაც საქართველოში სამოქალაქო კოდექსი იქნა მიღებული, უამრავი კერძოსამართლებრივი ურთიერთობა ახლებურად მოწესრიგდა ახალი კოდექსის საფუძველზე. ასეთი მომწესრიგებელი ნორმები ტურისტულ მომსახურებასაც შეეხო, რომელიც იმ დროისათვის არსებული საუკეთესო საკანონმდებლო პრაქტიკის შესაბამისად აისახა კოდექსში, ევროპული სამართლის რეცეფციის საფუძველზე. დასავლური გამოცდილების გაზიარების კიდევ ერთი მცდელობა იყო 2006 წელს გატარებული საკანონმდებლო ცვლილებები ევროკავშირის 1990 წლის დირექტივა 90/314/EEC-ის შესაბამისად, თუმცა შემდგომ წლებში საკანონმდებლო ინიციატივები აღნიშნულ დარგში შეწყდა, არადა ევროკავშირის მიერ 2015 წელს მიღებული იქნა ახალი დირექტივა 2015/2302, რომლის იმპლემენტაცია საქართველოს ნაკისრი აქვს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით. შესაბამისად, პრობლემას წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსში არსებული მოძველებული ნორმები, რომელიც წარმოიშვა აღნიშნულ სფეროში საკანონმდებლო ინიციატივების არარსებობით.

ტურიზმის სფეროში ახალი მომწესრიგებელი ნორმების მიღება ბაზრის მოთხოვნებმა განაპირობა. ინტერნეტი და ახალი ტექნოლოგიები დარგის ახლებურ მოწესრიგებას მოითხოვს. ცნობილია რომ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს მიეცათ დირექტივის ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვის 24 თვიანი ვადა. ვინაიდან დირექტივა მინიმალურ სტანდარტებს განსაზღვრავს, ქვეყნები თვითონ განსაზღვრავენ საკანონმდებლო რეგულირების ფარგლებს.

ტურისტულ მომსახურებაში ალტერნატიულ სამარლებრივ მოწესრიგებად განიხილება ტურისტის, როგორც მომხმარებლის უფლებების დაცვის მარეგულირებელი ნორმების მიღება. თავის დროზე საქართველოში მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონი სამოქალაქო კოდექსის მიღებამდე შევიდა ძალაში, რითაც თავიდანვე ხაზი

გაესვა მის უდიდეს მნიშვნელობას, თუმცა 2012 წელს კანონი ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული. შესაბამისად, დღეის მდგომარეობით, საქართველოში არც თუ ისე სახარბიელო სიტუაციაა მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით. ერთი მხრივ, ტურისტული მომსახურების მარეგულირებელი ნორმები ქვეყანას დეტალურად მოწესრიგებული არ აქვს სპეციალური კანონმდებლობით, ხოლო, მეორე მხრივ, მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონის არასრსებობა ტურისტებს, როგორც მომხმარებლებს კიდევ უფრო დაუცველ მდგომარეობაში აყენებს.

მიუხედავად იმისა, რომ მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონი ტურიტების უფლებების დაცვის ალტერნატივად განიხილება, ვინაიდან იგი არ წარმოდგენს სპეციალიზირებულ საკანონმდებლო აქტს სრულყოფილად ვერ იცავს ტურისტების უფლებებს. ტურისტული მომსახურების მომწესრიგებელ ნორმებში ყოველთვის ასახულია უფრო დეტალური მოწესრიგება, რომელიც ზუსტად ერგება კონკრეტულ ხელშეკრულებას. ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების დღიდან არაერთი სამეცნიერო პუბლიკაცია გამოქვეყნდა მისი შესრულების რეკომენდაციებისა თუ წესებზე. ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის სამართალთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით აგრეთვე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია უცხოური ლიტერატურის გამოყენება მათ შორის ტურიზმის სფეროში. ამრიგად, სამაგისტრო ნაშრომის პირველად წყაროს წარმოადგენს ევროკავშირის დირექტივა 2015/2302 და სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები. მათი დამუშავებისას გამოყენებული იქნა, როგორც ეროვნული კანონმდებლობის სამეცნიერო ნაშრომები, აგრეთვე ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ტექსტები და ნაშრომები ევროკავშირის სამარათლზე, რათა სრულყოფილად მიმოხილულიყო ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების მოწესრიგების შესაბამისი ნაკლოვანებები ეროვნულ კანონმდებლობაში და სიახლე ყოფილიყო შეთავაზებული საკანონმდებლო მოწესრიგების კუთხით.

III. შედეგები და მათი განსჯა

1. ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების არსი და მნიშვნელობა

იურიდიულ მეცნიერებასა და პრაქტიკაში მოიხსენიება საზოგადოებრივი ურთიერთობები (კავშირები). საზოგადოებრივი ურთიერთობა კი თავის მხრივ შედის იურიდიული რეგულირების საგანში. იგი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ადამიანისთვის რადგანაც განცალკევებული და ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებული ადამიანები ჯერ კიდევ არ ქმნიან საზოგადოებას. ეს უკანასკნელი წარმოიქმნება მხოლოდ იქ, სადაც ცალკეულ პიროვნებებს შორის აღმოცენდება სტაბილური, განმეორებადი და ტიპიური ურთიერთობები. საზოგადოება არის ადამიანთა ურთიერთქმედების შედეგი, მათი ცხოვრების გარკვეული ორგანიზაცია, შინაგანად წინააღმდეგობრივი ორგანიზმი, რომლის არსი მდგომარეობს მრავალფეროვან (ეკონომიკურ, ზნეობრივ, რელიგიურ და სხვა) კავშირებში, ადამიანთა გაერთიანებებსა და ერთობებს შორის ურთიერთობებში. ეს არის კავშირების რთული თვითგანვითარებადი სისტემა რომლებიც პირველ რიგში მოქმედებენ არა ბიოლოგიური არამედ სოციალური კანონებით.[11]

საკვლევი თემიდან გამომდინარე გამოსარკვევია თუ რა სახის სოციალური ურთიერთობებია ტურისტული მომსახურების ხელშეკრულებაში იურიდიული რეგულირების საგანი.

ცნობილია, რომ ადამიანების, თავისუფალი გადაადგილება (მოგზაურობა) ასახავს მის საქმიანობასა და სოციალურ კავშირებს. განსხვავებული კავშირები, ათასწლეულების განმავლობაში ადამიანებს შორის წარმოიქმნა მოგზაურობის შედეგად, ხოლო ზოგიერთი მათგანის კანონიერი ასახვა ჯერ კიდევ რომის იმპერიაში მოხდა.[12] თუმცა ტურიზმი

---

[11] ლობჟანიძე გ. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, ბონა კაუზა, თბილისი, 2010, გვ. 31. https://www.scribd.com/document/288840939/

[12] მეტრეველი ვ. რომის სამართალი (საფუძვლები), მერიდიანი, თბილისი, 2009, გვ.49-53. https://tsufacultyoflaw.files.wordpress.com/2016/08/e1839be18394e183a2e183a0e18394e18395e183

მისი თანამედროვე ფორმით XX საუკუნის შუა ხანებში ჩამოყალიბდა, შეიძინა რა ცივილიზაციის ეკონომიკის ხერხემლის ფუნქცია და მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა თანამედროვე ქვეყნების კულტურულ, სოციალურ და პოლიტიკურ სფეროში.

ტურისტების მიერ გამოხატული სოციალურ-ეკონომიკური აქტივობა ქმნის ტურიზმის ბაზარს, აღნიშნული ფაქტორი კი ზრდის ინდივიდისა თუ სოციუმის კეთილდღეობას. ტურიზმი, როგორც განსაკუთრებული დარგი, მოიცავს ინდივიდის, საზოგადოებისა და მათი სტრუქტურების ინტერესების სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებს, რაც ბუნებრივად მოითხოვს მის სამართლებრივ რეგულირებას.

ეკონომიკური შედეგების გათვალისწინებით, ტურიზმს საქართველოში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. შესაბამისად, სამართლებრივ რეგულირებას გააჩნია ეკონომიკურ დატვირთვა, რადგანაც იგი მოიცავს ფინანსურ ურთიერთობებს, აგრეთვე მათთან დაკავშირებული პირად/სოციალურ ურთიერთობებს: მეწარმეებს შორის მრავალფეროვანი ურთიერთობები, ტურიზმი და მათი მომსახურების მომხმარებლები, მოგზაურობისm მომზადებისა და ორგანიზიული გარიგებები (კერძოსამართლებრივი ურთიერთობები). ეკონომიკური შედეგების გარდა შიდა კანონმდებლობის არასრულფასოვნება და ტურიზმში ეფექტური კონტროლის ნაკლებობა ამ სფეროში დანაშაულის ზრდის ერთ-ერთი ფაქტორია.[13]

ტურისტული ინდუსტრია ეკონომიკური ურთიერთობების ფართე ველს ქმნის. ტრადიციულად, მსოფლიო ტურიზმის ინდუსტრია მოიცავს მოიცავს საცხოვრებელ საწარმოებს, ტურისტულ ორგანიზაციებს, ორგანიზატორებს და ტურისტული შუამავლები, ასევე სხვადასხვა

94e1839ae18398-e183a0e1839de1839be18398e183a1-e183a1e18390e1839be18390e183a0e18397e18390.pdf

[13] Klymenko O., Fraud in the Provision of Travel Services - A Consequence of Gaps in the Legislation, Revista Institutului National Justitiei, NR. 3 (38), 2016, 37. https://ibn.idsi.md/ro/vizualizare_articol/48953

ატრაქციებს. საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაციის (UNWTO)[14] გამოკვლევების მიხედვით, ტურიზმი შედის მსოფლიო ქვეყნების 83%-ის მსხვილ საექსპორტო დარგთა ხუთეულში, ხოლო ქვეყნების 38%-ში პირველი ადგილი უჭირავს. 2020 წლისათვის საერთაშორისო ტურისტული მგზავრობების რიცხვი გაიზრდება 1,6 მლრდ-მდე, ე.ი. თითქმის 3-ჯერ, შემოსავლები კი წელიწადში შეადგენს 2 ტრლნ დოლარს.[15]

ტურიზმის ინდუსტრიის ერთ–ერთი პირველი განმარტება ეკუთვნის გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციას, რომლის თანახმად, იგი მოიცავს საწარმოო და სხვადასხვა საქმიანობის კომპლექტს მოგზაურთათვის საქონლისა და მომსახურების შესაქმნელად მონაწილეობას.[16]

საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი ხასიათი მიგვითითებს, რომ სასურველია მათზე ოპტიმალური სახელმწიფო-სამართლებრივი გავლენა და სხვადასხვა ფორმისა და მეთოდების რეგულირების გამოყენება მოხდეს, როგორც საჯარო, ასევე კერძო სფეროში. კერძო და საჯარო სამართალს შორის ზღვარი არ არის საბოლოო და სახელმწიფოს მიერ ცალსახად დადგენილი.[17] ისტორიულად სახელმწიფო-სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება კერძო სამართალსა და საჯარო სამართალს შორის საზღვრების არასდროს ცნობდა. ტურიზმის რეგულირებაც, ამა თუ იმ სფეროს რეგულირებასთან ერთად არასდროს ყოფილა ერთმნიშვნელვნად საჯარო ან კერძო ხასიათის.

ცნობილია, რომ კანონის გავლენა საზოგადოებრივ ურთიერთობებზე მიიღწევა სამართლებრივი რეგულირების გზით. სამართლებრივი

---

[14] 1974 წელს დაარსდა მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია (World Tourism Organization ("UNWTO"), ეს დღე აღინიშნება „მსოფლიო ტურიზმის დღედ", დღეისათვის გენერალური მდივანი არის ზურაბ პოლოლიკაშვილი. იხ. http://www2.unwto.org/content/our-management

[15] კორძაია ი, საქართველოში საერთაშორისო ტურისტული ბაზრის სოციალური და ეკონომიკური მექანიზმების ფუნქციონირების თავისებურებები, ბათუმი, 2016, გვ.3. https://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_6017_1.pdf

[16] The contribution of tourism to trade and development, Note by the UNCTAD secretariat, Geneva, 2010, https://unctad.org/en/Docs/cid8_en.pdf

[17] ჭანტურია ლ, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, „სამართალი" თბილისი, 2011, გვ. 2 – 5 https://tsulawyers.weebly.com/uploads/1/1/7/0/117067068/chantura.pdf

რეგულირების შესაბამისად სამართლებრივი საშუალებები (სამართლებრივი ნორმები, სამართლებრივი ურთიერთობები, ინდივიდუალური აქტები და ა.შ.) ეფექტურ, მარეგულირებელ და ორგანიზაციულ გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ურთიერთობებზე, რათა გაამყაროს, დაიცვას და განავითაროს ისინი. სწორედ ამიტომ სამართალი არის სახელმწიფოს მიერ დადგენილი, შესასრულებლად სავალდებულო ქცევის წესების ერთობლიობა.[18]

ვინაიდან, სამართლებრივი რეგულირება ორგანიზებულ, თანმიმდევრულ და ინსტიტუციურ გავლენას ახდენს ქცევაზე სამართლებრივი მიზნის მისაღწევად საზოგადოების განვითარებისათვის საჭირო შედეგებისათვის საჭიროა აკრძალვები, ნებართვები და ვალდებულებები. სამართლებრივი რეგულირების საბოლოო მიზანი არის საზოგადოების ურთიერთობის გამარტივება.[19]

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ტურიზმის სამართლებრივი რეგულირება კანონით და სამართლებრივი საშუალებებით სრულად და ეფექტურად იყოს რეგულირებული, რათა მოახდინოს ნორმატიული და ორგანიზაციული გავლენა ამ სფეროში მონაწილეთა ქცევაზე და საქმიანობაზე. აგრეთვე, ერთიანი ტურისტული ბაზრის ეფექტური სამართლებრივი რეგულირებისათვის, დაცული იყოს ადამიანის უფლებები და თავისუფლებები ტურიზმის სფეროში, მათ შორის, დასვენების უფლებების დაცვა, გადაადგილების თავისუფლება, გამოხატვის თავისუფლება და სხვა. შესაბამისად, კონკრეტული სფეროს ეფექტური რეგულირება ხორციელდება კონკრეტული ხელშეკრულების საფუძველზე რომელიც კანონის მოთხოვნებს ეფუძნება. აღნიშნულიდან გამომდინარე კი ტურისტული მომსახურების ხელშეკრულება

[18] ხუბუა გ. სამართლის თეორა, მერიდიანი, თბილისი, 2004, გვ.33-35. https://tsufacultyoflaw.files.wordpress.com/2016/08/xubua.pdf
[19] იქვე, გვ. 64.

არეგულირებს მომსახურების კონკრეტულ სფეროს და მისი მიზანია ორგანიზებული, უხარვეზო მოგზაურობის მოწყობა.[20]

ტურიზმის შესახებ ქართული ეროვნული კანონმდებლობის ფორმირებას დიდიხნის ისტორია არ გააჩნია და იგი ძირითადად მოიცავს საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ განხორციელებულ სამართალშემოქმედებას. თანამედროვე ქართული ტურისტული მეწარმეობის განვითარება განაპირობა მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონმა[21] და სამოქალაქო სამართლის კოდექსმა, რომელთა მიხედვით აღნიშნულ სფეროში საქმიანობა სპეციალური რეგისტრაციის წესისა და ლიცენზიის გარეშე ხორციელდება. ბოლო წლების განმავლობაში მრავალი ცდა იქნა ჩატარებული, რათა ტურიზმისა და ტურიზმის ინდუსტრიის სხვადასხვა ურთიერთობების ეფექტური რეგულირება მომხდარიყო, თუმცა სამოქალაქო კოდექსში ტურიზმის მომწესრიგებელი ნორმების მიღების შემდგომ, მხოლოდ ერთხელ, 2006 წელს შევიდა მასში ცვლილებები და მას შემდგომ, მისი განვითარება და მოდიფიცირება არ მომხდარა. სწორედ ამ ნორმათა ანალიზი და შეფასება იქნება წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის შემდგომ ნაწილებში.

საქართველოში სამოქალაქო კოდექსის მიღებისთანავე უდიდესი დატვირთვა შეიძინა ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპმა, რომელსაც დამოუკიდებელი სამართლებრივი მოწესრიგების მეტი არეალი მიეცა. აღნიშნული პრინციპის სამოქალაქო კოდექსით მოწესრიგება აისახა კერძო სამართლის სხვადასხვა დარგებში, რის საფუძველზეც კერძოსამართლებრივი ურთიერთობა დაეფუძნა კერძო ავტონომიისა და სახელშეკრულებო სამართლიანობის პრინციპებს.[22] ტურისტული მომსახურების ხელშეკრულება სრულად ეფუძნება კერძო ავტომომიასა და

---

[20] ცისკაძე მ., ჭანტურია ლ. (რედ), სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2001, გვ.292 https://tsufacultyoflaw.files.wordpress.com/2016/08/komentarebi-4-saxelshekrulebo.pdf

[21] საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, მიღებული: 28/10/1994წ.-ს საქართველოს პარლამენტის მიერ, დოკუმენტის №577, იხ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/28408

[22] ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში,თსუ, თბილისი, 2016, გვ. 35. http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/sergi_jorbenadze.pdf

სახელშეკრულებო სამართლიანობის პრინციპებს. იგი ფორმითა და შინაარსით თავისუფალი გარიგებაა, რომელიც იზღუდება მხოლოდ სამოქალაქო კოდექსით დადენილი ნორმებით. ტურისტული მომსახურების ხელშეკრულება ვალდებულების წარმოშობის საფუძველია მასში გაწერილი პირობების შესაბამისად, რომელსაც თავის მხრივ საკანონმდებლო რეგულირება კონკრეტულ მიმართულებას აძლევს, ხოლო Pacta sunt servanda-ს აქტუალურობა და მნიშვნელობა მასზე სრულად ვრცელდება.[23]

ტურიზმის ინდუსტრიის რთული, ინტერსექტორული ბუნება განსაზღვრავს მის მონაწილეებს შორის რთული ურთიერთობების არსებობას, რომელიც მოითხოვს სათანადო სამართლებრივ რეგულირებას სახელმწიფოს მიერ, რათა ეკონომიკური საქმიანობის ეფექტურობა იყო მიღწეული. ტურიზმის სექტორში სამართლებრივი რეგულირება ხორციელდება ტურიზმის სამართლის წყაროების დახმარებით. ძირითად წყაროებს წარმოადგენს: მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი, საერთაშორისო აქტი, სამართლებრივი ჩვეულება, მარეგულირებელი ხელშეკრულება, რომელიც ასე დამახასიათებელია ტურიზმის სექტორისათვის. ტურისტული სამართლის დამატებითი წყაროებია: სასამართლო პრაქტიკა, იურიდიული დოქტრინა, საერთაშორისო რეკომენდაციები და საზოგადოებრივი აზრი. ტურისტული მომსახურების ხელშეკრულებაში აღნიშნული წყაროები წარმოადგენენ სამართლის წყაროს როგორც მატერიალური, აგრეთვე ფორმალური გაგებით. [24]

ამრიგად, ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების სამართლებრივი არსი და დიდი მნიშვნელობა გამომდინარეობს თანამედროვე საზოადოებრივი მოთხოვნებიდან. იგი მოიცავს სურვილს, ეფექტურად იყოს რეგულირებული ურთიერთობები ტურიზმის სექტორში, ხოლო იურიდიული თვალსაზრისით ტურისტული მომსახურების

---

[23] ძლიერიშვილი ზ. და სხვები. სახელშეკრულებო სამართალი, გვ. 59, (სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის), მერიდიანი, თბილისი, 2014, http://ewmi-prolog.org/images/files/8463

[24] თუმანიშვილი გ. შესავალი საქართველოს კერძო სამართალში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2012, გვ.17-18 http://eprints.iliauni.edu.ge/415/1/Introduction

ხელშეკრულებას თეორიულად გააჩნია ყველა სამართლებრივი მექანიზმი, რათა ეფექტურად მოხდეს დარგის მოწესრიგება. თუ რამდენად ხდება პრაქტიკაში ასახვა ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების მიმართ არსებული მოთხოვნებისადმი ამაზე სამაგისტრო ნაშრომის შემდგომ თავებში ვისაუბრებთ.

2. ტურისტული მომსახურების საკანონმდებლო რეგულირება.

2.1. ეროვნული კანონმდებლობა.

საქართველოში ტურისტული საქმიანობის შესახებ საკანონმდებლო სისტემის ჩამოყალიბება ნორმატიული აქტების იერარქიისა და მათი კანონიერი ძალის გათვალისწინების შესაბამისად მოხდა.[25] საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კანონები, მთავრობის დადგენილებები და სხვა ინდ. აქტები ის დოკუმენტებია, რომლებიც სრულად მოიცავენ ტურისტული სექტორის სამართლებრივ მოწესრიგებას საქართველოში.

საქართველოში ტურისტული სექტორის კანონმდებლობის საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც თუმცა პირდაპირ არ არეგულირებს ურთიერთობებს ტურიზმის ინდუსტრიაში, მაგრამ განსაზღვრავს ფუნდამენტურ ნორმებს, რომელთანაც შესაბამისობაში უნდა იყოს ამ სფეროში მიღებული ყველა რეგულაცია. საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია მიმოსვლის თავისუფლება. საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილების უფლება ვრცელდება ყველა პირზე, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი საქართველოს მოქალაქე. სწორედ აღნიშნულზე მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლში გამოყენებული ტერმინი „ყველა“. ამდენად, თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება

[25] საქართველოს ორგანული კანონი ნორმატიული აქტების შესახებ, მიღებული: 22/10/2009წ.-ს საქართველოს პარლამენტის მიერ, დოკუმენტის №1876, იხ.https://matsne.gov.ge/ka/document/view/90052

უზრუნველყოფილია ნებისმიერი პირისათვის, მისი მოქალაქეობრივი სტატუსის მიუხედავად.[26]

როგორც აღინიშნა, საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ დებულებებს ყველაზე მაღალი იურიდიული ძალა გააჩნიათ. საქართველოს კონსტიტუციით აგრეთვე აღიარებული და უზრუნველყოფილია ეკონომიკური თავისუფლება, სახელმწიფოს ვალდებულებაა, იზრუნოს თავისუფალი მეწარმეობის განვითარებაზე (შდრ. საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლი). დაუშვებელია სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების უფლების შეზღუდვა, სამეწარმეო თავისუფლება გარანტირებულია, მათ შორის, ტურისტულ საწარმოებთან მიმართებაში.[27]

საქართველოში ტურისტული სექტორის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები არის საქართველოს კანონები, რომლებიც მიიღება სახელმწიფოს საკანონმდებლო (წარმომადგენლობითი) ორგანოს - პარლამენტის მიერ. საქართველოს კანონებიდან, უშუალოდ ტურიზმის სფეროში არსებული ურთიერთობების რეგულაციებს მოიცავს ტურიზმისა და კურორტების შესახებ კანონი,[28] საქართველოს საგადასახადო კოდექსი[29] და საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

ტურიზმის მომწესრიგებელ კანონებს შორის ყველაზე სპეციალური ნორმატიული აქტია ,,ტურიზმისა და კურორტების შესახებ კანონი'', რომელიც შედგება 9 თავისა და 18 მუხლისაგან. პირველი მუხლის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობა ტურიზმისა და კურორტების შესახებ არეგულირებს ტურიზმისა და საკურორტო საქმიანობის სფეროში

---

[26] ბურდული ი. და სხვები. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი", „პეტიტი", თბილისი, 2013., გვ. 131, http://www.library.court.ge/upload/Constitution.pdf

[27] იქვე, გვ. 373.

[28] საქართველოს კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ, მიღებული: 06/03/1997წ.-ს საქართველოს პარლამენტის მიერ, დოკუმენტის №599, იხ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/33370

[29] საქართველოს კანონი საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მიღებული: 17/09/2010წ.-ს საქართველოს პარლამენტის მიერ, დოკუმენტის №3591 იხ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717

არსებულ ურთიერთობებს. ხოლო, საქართველოს კანონმდებლობა ტურიზმისა და კურორტების შესახებ შედგება საქართველოს კონსტიტუციის, ამ კანონის და მათ შესაბამისად მიღებული სხვა ნორმატიული აქტებისაგან. ,,ტურიზმისა და კურორტების შესახებ'' საქართველოს კანონი განმარტავს ტურიზმის სფეროში არსებულ ძირითად ცნებებს ("ტურიზმი", "ტურისტი", "ტურისტული რესურსები" და ა.შ.); მაგალითად, ტურიზმი „ტურიზმისა და კურორტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით ეს არის „ადამიანის თავისუფალი, ნებაყოფლობითი, დროებითი გადაადგილება თავისი საცხოვრებელი ადგილიდან დასვენების, გაჯანსაღების, ისტორიისა და კულტურის ძეგლების დათვალიერების და/ან სხვა მიზნით". კანონი განსაზღვრავს სახელმწიფოს პოლიტიკის პრინციპებს, რომელიც მიზნად ისახავს სამართლებრივი ჩარჩოს დამკვიდრებას საქართველოს ტურისტულ ბაზარზე და არეგულირებს მოგზაურობისას წარმოშობილ ურთიერთობებს დასვენების, გადაადგილების თავისუფლებისა და სხვა უფლებების თაობაზე. აღნიშნული ტურიზმის სფეროს მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩოს განახლება ქვეყნის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია.[30]

ამასთანავე, ,,ტურიზმისა და კურორტების შესახებ'' კანონის მრავალი დებულება მხოლოდ ფრაგმენტულ და დეკლარაციულ ხასიათს ატარებს. მიმართულებებს შორის, რომელსაც კანონის პრიორიტეტს ანიჭებს, ყურადღება გამახვილებული საერთოდ არ არის შემდეგზე: მინიმალური სტანდარტები და კლასიფიკაციის სისტემები; ობიექტების და მომსახურების ღირებულება; ტურისტების დაცვა; ტურიზმის კანონებისა და რეგულაციების გაუმჯობესება და შესრულება; ფინანსური წახალისება შიდა და უცხოელი ინვესტორებისთვის; ტურისტული ატრაქციები, გარემოს დაცვა და ა.შ.

[30] საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, თბილისი, 2020, გვ.15. https://gnta.ge/wp-content/uploads/2018/12/საქართველოს-ტურიზმის-სტრატეგია-2025-2.pdf

სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია არის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი და სახელმწიფო კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს თავის საქმიანობას.[31] ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია არ შეიმუშავებს კანონპროექტებსა და საკანონმდებლო წინადადებებს საქართველოში ტურიზმისა და ტურისტული საქმიანობის შესახებ, ტურისტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის გარანტიების გაძლიერებისა და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით; მისი მთავარი მიზნები და ამოცანებია საქართველოს ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბება და განხორციელება, მდგრადი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, ტურიზმის განვითარების საფუძველზე ქვეყანაში მაღალი საექსპორტო შემოსავლების ზრდისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა, ასევე საქართველოში უცხოელი ტურისტების მოზიდვა და შიდა ტურიზმის განვითარება, ტურისტული ადგილების, ინფრასტრუქტურისა და ტურიზმის სფეროში ადამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობა. აღნიშნულ ჩამონათვალში მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩოს განახლება და განვითარება წესით აგრეთვე პრიორიტეტი უნდა იყოს, რადგანაც იგი მეტად უნდა იყოს ჩართული კანონმდებლობის შემუშავებაში და სამართლებრივი წესების რეგულირებაში ტურიზმის სფეროში და აგრეთვე უნდა უზრუნველყოს კერძო სექტორის მიერ ტურისტული დანიშნულების ადგილების განვითარებისათვის განსახორციელებელი ინვესტიციების წახალისება.[32].

აგრეთვე ,,ტურიზმისა და კურორტების შესახებ'' კანონი განსაზღვრავს დარგის მართვის უფლებამოსილი ორგანოს

---

[31] საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია https://gnta.ge/ge/%e1%83

[32] Anuar A. N. A., Ahmed H., Jusoh H., Hussain M. Y., Understanding the Role of Stakeholder in the Formation of Tourist Friendly Destination Concept, Published by Canadian Center of Science and Education, Journal of Management and Sustainability; vol. 2, №2; 2012, 71 https://pdfs.semanticscholar.org/4913/70bcd01d8c754eefc208886bf52ddb1f3d8a.pdf

პასუხისმგებლობებს და უფლებამოსილებებს, რომელმაც უნდა წარუდგინოს სახელმწიფოს დარგის განვითარებისათვის ძირითადი მიმართულებები. მას ექვემდებარება რეგიონალური (სამხარეო) სამმართველოები თუმცა რეალურად ასეთი ორგანო არ არსებობს, ისევე, როგორც არ არსებობს მისი რეგიონული სამმართველოები,[33] შესაბამისად ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას გააჩნია ყველა საჭირო რესურსი შეითავსოს აღნიშნული პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებები, დარგის სათანადო საკანონმდებლო რეგულირების შემთხვევაში. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციამ უნდა დაიკავოს სახელმწიფო მარეგულირებლის როლი ტურიზმის დარგში და მანვე უნდა მოახდინოს საქმიანობის მონიტორინგი, მათ შორის საკონტროლო შესყიდვების განხორციელების გზით. აღნიშნული ხერხებით ტურისტების უფლებების დარღვევა თავიდან იქნება აცილებული. ამისათვის აუცილებელია, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოს შესაბამისი სახსრები, ხოლო მთავრობამ უნდა დაგეგმოს და მართოს ტურიზმი ქვეყანაში.[34]

იმ პირობებში, როდესაც არ გვაქვს კანონი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ,[35] რომელიც ტურიზმის ინდუსტრიაშიც დაარეგულირებდა ურთიერთობებს, ნიშნებს მომხმარებლებსა და ტურიზმის მიმწოდებლებს შორის, საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) ხარისხს გაყიდვაში, მომხმარებელთა უფლებებს შეიძინონ საქონელი (სამუშაოები, მომსახურება) სათანადო ხარისხით, რომელიც უსაფრთხო იქნება მომხმარებლების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის, ინფორმაციის მოპოვება საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) და მათი წარმოების შესახებ; შესაბამისად არ არსებობს ტურისტული მომსახურების

---

[33] ტურიზმის რეგულირება, პრიორიტეტული დარგის მოძველებული კანონმდებლობა, ბათუმის ტურიზმის ინსტიტუტი, ბათუმი, 2017, გვ.8. იხ. http://tourisminstitute.ge/files/attach/tourism_regulation.pdf

[34] მეტრეველი მ., ტურიზმის ეკონიმიკა და პოლიტიკა, თბილისი, 2011, გვ 177,179

[35] საქართველოს პარლამენტის მიერ 20/03/1996წ.-ს მიღებული საქართველოს კანონი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ (დოკუმენტის ნომერი 151) ძალადაკარგულად გამოცხადდა 25/05/2012წელს. ახალი კანონი 8 წლიანი მუშაობის შემდეგაც კი არ არის მიღებული და ეს სფეროც სამართლებრივი რეგულირების გარეშეა დარჩენილი.

მიმღების, როგორც მომხმარებლის უფლებების დაცვის სამართლებრივი მექანიზმი. აღნიშნულ პირობებში ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, სათანადო სამართლებრივი რეგულირების გარეშე, მხოლოდ მარკეტინგული ღონისძიებებით ტურიზმს სათანადო დონეზე ვერ განავითარებს.[36]

1994 წლის 25 იანვრის დადგენილებით საქართველოს პარლამენტმა აღიარა ტურიზმის ქარტია, რის შედეგადაც იკისრა მთელი რიგი ვალდებულებები, მათ შორის ტურიზმის ქარტიის მე-3 მუხლი სახელმწიფოს ავალდებულებს დაიცვას ტურისტული გარემო და იზრუნოს მის განვითარებაზე.[37] აგრეთვე, საქართველო 1993 წლიდან არის მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის (UNWTO) წევრი, რის საფუძველზეც ტურისტულ მომსახურებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს ჩვენს ქვეყანაში, ტურიზმის ქარტიასთან ერთად, აწესრიგებს აგრეთვე ტურიზმის გლობალური ეთიკის კოდექსი, რომელიც აღიარებულია საქართველოს მიერ.[38]

საქართველოს საგადასახადო კოდექსი გარკვეულ შეღავათებს აწესებს ტურისტულ სფეროში, კერძოდ, საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ჟ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გათავისუფლებულია დღგ-სგან ჩათვლის უფლებით, კომპანიები, რომელთა საქმიანობა მიმართულია საქართველოში უცხოელი ტურისტების ორგანიზებულ შემოყვანაზე და მიწოდებულ ტურისტულ პაკეტში შემავალი ტურისტული მომსახურების ძირითად ფორმებს მიკუთვნებული მომსახურებათა არანაკლებ ორი კომპონენტისგან შემდგარი კომპლექსის უშუალო მიმღებებს წარმოადგენენ საქართველოში შემოყვანილი უცხოელი ტურისტები, აგრეთვე

---

[36] Bar-Gill O., Ben-Shahar O., Regulatory Techniques in Consumer Protection: A Critique of European Consumer Contract Law, Common Market Law Review, 2013, 111-115; https://chicagounbound.uchicago.edu/cgi/viewcontent.cgi?article=5068&context=journal_articles

[37] ტურიზმის ქარტია, აღიარებული საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 25 იანვრის დადგენილებით, თბილისი, იხ. https://geshdoc.files.wordpress.com/2011/12/turizmis-qartia1.pdf

[38] დამტკიცებული A/RES/406(XIII) რეზოლუციით, UNWTO-ს გენერალური ასამბლეის მე-13 სესიაზე (ქ. სანტიაგო, ჩილე, 1999 წლის 1 ოქტომბერი) იხ. https://www.unwto.org/global-code-of-ethics-for-tourism

საქართველოს რეზიდენტი საწარმოს მიერ უცხოური კომპანიისთვის ტურისტული პაკეტის მიწოდება. საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის მე-18 ნაწილით კი გათვალისწინებულია შეღავათები ქონების გადასახადის კუთხით, რომლის თანახმდაც ტურისტული ზონის მეწარმე სუბიექტის მიერ ინვესტიციის ფარგლებში აშენებული სასტუმროს გასხვისების შემთხვევაში ახალ მესაკუთრეზე ასევე ვრცელდება შეღავათები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ახალი მესაკუთრე აღარ უზრუნველყოფს სასტუმროს ფუნქციონირებას. აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ტურისტული ზონის მეწარმე სუბიექტი არ უზრუნველყოფს სასტუმროს ფუნქციონირებას, პირდაპირი მითითება ამ შეღავათის გაუქმებისა კოდექსით მოცემული არ არის.[39]

ყველაზე დეტალური სისტემა, რომლითაც რეგულირდება ტურისტული მომსახურება, ინდივიდუალური ვალდებულებებისა და სახელშეკრულებო ნორმების შესახებ, მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების ზოგადი დებულებების (657-667 მუხლები) სახით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი შესაძლებლობას იძლევა, რომ ხელშეკრულება დაიდოს ზეპირად და წერილობითი ფორმა აუცილებელი არ არის, მაგრამ გაურკვევლობის თავიდან აცილების მიზნით ხელშეკრულებები უმჯობესია გაფორმებული იყოს წერილობით სახით.

ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ ცივილისტიკამ უმთავრესი როლი შეიძინა საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივ განვითარებაში და მოექცა სამართლის იერარქიული კიბის სათავეში, საქართველოში კერძო ინტერესებს ყოველთვის განსაკუთრებული გაქანება ქონდა, რაც თანამედროვე საქართველოში გამოიხატა კერძო-სამართლებრივ შემოქმედებაში, რომელიც საბაზრო

[39] ნადარაია რ. და სხვები. საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე §§ 156-310. East-West Management Institute, თბილისი, 2012., გვ. 290, http://bpa.ge/book/book52.pdf

ეკონომიკის განვითარების მთავარი საფუძველია.[40] ვინაიდან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ყველაზე დეტალურად აწესრიგებს ტურისტულ მომსახურებას, უნდა მივიჩნიოთ რომ იგი ყველაზე მეტად უწყობს ხელს ქვეყანაში ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებას, შესაბამისად სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმების განვითარება და დახვეწა არის პირდაპირი საფუძველი ამ ინდუსტრიის მდგრადი განვითარებისა.

ამრიგად, ქართული კანონმდებლობით ტურისტული ხელშეკრულება მიეკუთვნება ორმხრივ, სასყიდლიან, ვადიან და კონსესუალურ ხელშეკრულებას. იგი ძალაში შედის მხარეთა მიერ შეთანხმების მიღწევისა და ხელმოწერის მომენტიდან, რომელიც წინ უსწრებს მომსახურების დაწყებას და მთავრდება მოგზაურობის დასრულებისთანავე.[41] მსგავსად სხვა სამართლებრივი ნორმებისა და ინსტიტუტებისა ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები სამოქალაქო კოდექსში, ევროპული სამართლის გავლენით იქნა მიღებული, თუმცა ქართულმა საკანონმდებლო სივრცემ ფეხი ვერ აუწყო თანამედროვე მოთხოვნებსა და გამოწვევებს, რომლებიც პირდაპირ გამომდინარეობენ ევროკავშირის სამართლიდან და რომელთა სრული ასახვა საქართველოს სამართლებრივი ვალდებულება გახდა.

2.2. ევროკავშირის კანონმდებლობა.

ევროპა მსოფლიოს N1 ტურისტული დანიშნულების ადგილია, შესაბამისად, ევროკავშირის ეკონომიკისათვის ტურიზმის დეფინიციაც კი მეტად მნიშვნელოვანია, იგი სიდიდით მესამე სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობა ევროკავშირში (EU). ევროკავშირს შემუშავებული აქვს ტურიზმის შესახებ პოლიტიკა, რომელიც აღწერს, თუ როგორ უკავშირდება

---

[40] ზოიძე ბ., ევროპილი კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005. გვ.113-115 https://iuristebi.files.wordpress.com/2011/07/ge-gtz-rezeption-des-europaeischen-privatrechts-in-georgien-2005.pdf

[41] ცისკაძე მ., ჭანტურია ლ. (რედ), სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2001, 292-293. https://tsufacultyoflaw.files.wordpress.com/2016/08/komentarebi-4-saxelshekrulebo.pdf

ევროკავშირის პოლიტიკა ტურიზმს და როგორ მიმდინარეობს სექტორის განვითარება.[42]

ევროკავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების როლი ევროკავშირის ტურიზმის კომპეტენციის განსაზღვრაში უმთავრესია. იგი გულისხმობს ევროკავშირის სამართლის სხვადასხვა ბაზისებს: ხელშეკრულებებს, რეგლამენტებს, დირექტივებს; ევროკავშირის ინსტიტუტები შეიმუშავებენ იურიდიულ დოკუმენტებს რომელიც გავლენას ახდენენ წევრი სახელმწიფოების ეროვნულ კანონმდებლობაზე. ხელშეკრულება და რეგლამენტი პირდაპირ გამოიყენება ეროვნულ სამართალში, რაც იმას ნიშნავს, რომ ცალკეულ წევრი ქვეყნების მოქალაქეებს შეუძლიათ დაეყრდნონ ამ კანონებით დაცულ უფლებებს თავიანთ ეროვნულ სასამართლოებში, ხოლო დირექტივები მინიმალური სტანდარტების დამდგენი დოკუმენტია და იგი უნდა აისახოს ეროვნულ კანონმდებლობაში მიღებული ახალი დოკუმენტით.[43] აღნიშნულიდან გამომდინარე, დირექტივების იურიდიულ ძალაში შესვლასთან მიმართებით, ეროვნულ კანონმდებლობაში მისი ასახვა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თვით ეს დირექტივა.

ევროპული სამართლის ფორმირებაში აგრეთვე უდიდეს როლს ასრულებს მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო (CJEU)[44]. მისი როლი ძირითადად, ევროკავშირის კანონმდებლობის სამართლებრივ ინტერპრეტაციაში გამოიხატება. ეს ინტერპრეტაციები შემდგომ სავალდებულო ხდება ეროვნული სასამართლოებისთვის, მათ შორის აგრეთვე, ტურისტული მომსახურების მარეგულირებელი ნორმების გამოყენებისას და განმარტებისას. ეს გულისხმობს ევროკავშირის აქტების

---

[42] European Commission >EU regional and urban development >Regional Policy>Policy Themes>Tourism https://ec.europa.eu/regional_policy/en/policy/themes/tourism/

[43] ქარდავა ე. სამართლებრივი დაახლოება Legal Approximation სახელმძღვანელო პრინციპები, „ფაუნტეინ ჯორჯია“, თბილისი, 2017, გვ.27, http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/83802/

[44] Court of Justice of the European Union; https://europa.eu/european-union/about-eu/institutions-bodies/

იმპლემენტაციას შიდა კანონმდებლობაში დადგენილი ვადების მიხედვით, ამავე დროს, ევროსასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებას ეროვნულ მართლმსაჯულებაში.[45]

ევროკავშირის ფუნქცონირების მთავარი ხელშეკრულებებია ,,ხელშეკრულება ევროპის კავშირის შესახებ" და ,,ხელშეკრულება ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ", რომლებიც დღეისათვის ლისაბონის 2007 წლის 13 დეკემბრის ,,ევროპის კავშირის რეფორმის შესახებ" ხელშეკრულების რედაქციით მოქმედებენ, რომელიც ძალაში შევიდა 2009 წლის 01 დეკემბრიდან.[46] ტურიზმის შესახებ ევროკავშირის სპეციფიკური კომპეტენცია მოცემულია ,,ევროპის კავშირის ფუნქციონირების ხელშეკრულების კონსოლიდირებულ ვერსიის" 195-ე მუხლში. აქ ევროკავშირს მიკუთვნებული აქვს შეზღუდული შესაძლებლობები. ტურიზმი ძირითადად, წევრ სახელმწიფოთა კომპეტენციად განიხილება და არა როგორც ევროკავშირის კომპეტენცია. ამასთან, ევროკავშირს უფლება აქვს, დახმარება გაუწიოს წევრ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობას საკუთარი სახსრების საშუალებით, ერთობლივი პროექტების დასაფინანსებლად.[47]

მიუხედავად იმისა, რომ ტურიზმის სფეროში ევროკავშირის სპეციფიკური კომპეტენცია შედარებით შეზღუდულია, ევროკავშირს საკუთარი როლის გამოყენებით, მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ტურიზმის შესახებ ეროვნულ კანონმდებლობებში, მათ შორის ტურისტის, როგორც მომხმარებლის უფლებების დაცვის სფეროში. ვინაიდან ევროკავშირის დირექტივები არაპირდაპირი გზით აისახება ქვეყნების ეროვნულ

---

[45] მაისურაძე დ., სულხანიშვილი ე., ვაშაკიძე გ., ევროკავშირის კერძო სამართალი, გადაწყვეტილებები და მასალები, ნაწილი I, მომხმარებელთა დაცვის სამართალი, შრომის სამართალი, კორპორაციული სამართალი, კონკურენციის სამართალი, თბილისი 2018, გვ12. http://lawlibrary.info/ge/books/2018giz-ge-evrokavshiris_kerdzo_samartali.pdf

[46] პაპავა ი. ევროპის კავშირის ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლები: საბაზისო ქატები და კომენტარები, თბილისი, 2014, გვ.7-10, http://www.library.court.ge/upload/30292014-04-02.pdf

[47] CONSOLIDATED VERSION OF THE TREATY ON THE FUNCTIONING OF THE EUROPEAN UNION, Official EN Journal of the European Union, 26.10.2012, C 326/135, https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:12012E/TXT:EN:PDF

კანონმდებლობაში, ევროკავშირს აქვს კომპეტენცია ამ სფეროში კანონმდებლობით დადგენილი წესით დაარეგულიროს ბაზარი. აღნიშნულ სფეროში პირველი დირექტივა იყო „1990 წლის 13 ივნისის საბჭოს 90/314/EEC დირექტივა ,,მოგზაურობის, არდადეგებისა და ტურების პაკეტების შესახებ“[48]. 1990 წლის დირექტივა 90/314/EEC ახლახან შეიცვალა ევროკავშირის ახალი დირექტივით - ,,დირექტივა 2015/2302 ტურისტული პაკეტისა და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ“[49], ახალი დირექტივა მიზნად ისახავს ქვეყნებმა ეროვნულ კანონმდებლობაში განაახლონ სამართლებრივი რეგულაციები ტურისტულ სექტორში და ასახონ მასში თანამედროვე ცვლილებები, მაგალითად როგორიცაა: არდადეგების ონლაინ დაჯავშნა.

დღეისათვის ევროკავშირის ტურიზმთან დაკავშირებული კანონმდებლობა მოიცავს შემდეგ რეგულაციებს: **1)** დირექტივა 2006/123/EC არეგულირებს ტურისტულ სერვისებს ევროპულ შიდა ბაზარზე. მისი მიზანია, ევროკავშირის ერთიანი ბაზრის ჩამოყალიბება სერვისების კუთხით, მათ შორის ტურიზმის მიმართულებით. ტურიზმთან მიმართებაში აღნიშნული დირექტივა საშუალებას იძლევა ევროკავშირში დარეგისტრირებულმა ნებისმიერმა კომპანიამ, მათ შორის ტურისტული პაკეტების გამყიდველმა ორგანიზაციებმა, მიაწოდონ თავისი სერვისი ევროკავშირის ყველა მომხმარებელს ნებისმიერ წევრ ქვეყანაში. დირექტივა ევროპის ერთიანი ბაზრის ფორმირებით იცავს მომხმარებლის უფლებებს და აძლევს მათ საშუალებას, მიიღონ უფრო მაღალი ხარისხის მომსახურება.[50]

2) დირექტივა 2008/122/EC არეგულირებს ისეთ ხანგრძლივ ტურისტულ სერვისებს რომელთა ხანგრძლივობაც აღემატება ერთ წელს (მაგალითად

---

[48] ელექტრონულად ხელმისაწვდომია აქ: https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX%3A31990L0314

[49] ელექტრონულად ხელმისაწვდომია აქ: https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32015L2302

[50] ელექტრონულად ხელმისაწვდომია აქ: https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A32006L0123

როგორიცაა ე.წ. თაიმშეარები (timeshare properties)). თაიმშეარი არის სპეციფიკური ტიპის კონტრაქტი, რომლის ხანგრძლივობა განსაზღვრულია ერთ წელზე მეტი ვადით, როგორც წესი ეს არის საცხოვრებელი საკურორტო ზონაში, ხოლო მომხმარებელი ყიდულობს უფლებას, გამოიყენოს საცხოვრებელი რამდენჯერმე, წლის განმვალობაში. იგი შეიძლება იყოს იჯარის ფორმით ან სხვადასხვა კონტრაქტით, რომელთა სპეციალურ ფორმებს განსაზღრავს სწორედ აღნიშნული დირექტივა.[51]

3) დირექტივა 2011/24/EU მთლიანად ეძღვნება პაციენტის ხარისხიანი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობას საზღვრებს გარეშე და აღნიშნული დირექტივა ყველაზე მნიშვნელოვანი მარეგულირებელი დოკუმენტია სამედიცინო ტურიზმის მიმართულებით. აგრეთვე, აღსანიშნავია ისიც, რომ მისი რეგულირების მიზანი ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაა და არა ტურისტული მიზნები.[52]

4) დირექტივა 2015/2302 ძალაში 2018 წლის 1-ლი ივლისიდან შევიდა. ეს დირექტივა იცავს ევროპელ მოგზაურთა უფლებებს დასასვენებელი პაკეტის შეკვეთისას, კერძოდ ტურისტული პაკეტის გაუქმების, პასუხისმგებლობის დაზღვევის, რეპატრიაციისა და უკან დაბრუნების თვალსაზრისით. იგი ეხება, როგორც ევროპულ ტუროპერატორებს, ასევე უცხოურ მხარეებს, რომლებიც პირდაპირ მომსახურებას უწევენ ევროპულ მოგზაურებს. დირექტივა არეგულირებს ევროპული ტურ-ოპერატორების პასუხისმგებლობას მათ მიერ გაყიდულ ტურისტული პაკეტების ყველა მომსახურებაში. ვინაიდან, ახალმა დირექტივამ სრულად ჩაანაცვლა ძველი დირექტივა 90/314/EEC, რომლის მიხედვითაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმების ნაწილი იყო ასახული, მიზანშეწონილია წინამდებარე ნაშრომით ახალი დირექტივის დეტალური სამართლებრივი ანალიზი მოვახდინოთ სამოქალაქო კოდექსის ნორმებთან მიმართებაში.

---

[51] ელექტრონულად ხელმისაწვდომია აქ: https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX%3A32008L0122

[52] ელექტრონულად ხელმისაწვდომია აქ: https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A32011L0024

ტურიზმის მიმართულებით ევროკავშირში აგრეთვე არსებობს შემდეგი სტანდარტები: EN 13809:2003 - სტანდარტი ტერმინოლოგიებზე ტურისტული სააგენტოებისა და ტუროპერატორებისთვის. EN 15565:2008 – სტანდარტები პროფესიონალი ტურისტული გიდის გადამზადებისა და კვალიფიკაციის პროგრამებისთვის; EN ISO 18513:2003 – ტერმინოლოგია სასტუმროებისა და სხვა ტიპის ტურისტული საცხოვრებლებისათვის.[53] უნდა აღინიშნოს, რომ სტანდარტები არის ნებაყოფლობითი და მათი დანერგვა ხდება მეწარმეების სურვილით, შესაბამისად წინამდებარე ნაშრომში მათ უფრო დეტალურად აღარ განვიხილავთ.

3. შედარებით-სამართლებრივი ანალიზი.

3.1. შესადარებელი სამართლის საერთო მიმოხილვა;

2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებას“ (AA), რომელიც რატიფიცირებული იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წლის 18 ივლისს, ხოლო ძალაში სრულად შევიდა 2016 წლის 1 ივლისს.[54] ასოცირების ხელშეკრულება პარტნიორი ქვეყნების ევროპის კავშირის სტანდარტებსა და ნორმებთან დაახლოების მთავარი ინსტრუმენტია. ასოცირების შეთანხმებით საქართველომ აიღო ვალდებულება, ქვეყანაში დანერგოს ახალი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი სტანდარტები.[55]

ევროკავშირის სტანდარტებთან და ნორმებთან დაახლოება შეეხო ტურიზმის სექტორსაც. საერთო კლასიფიკაციით, ტურიზმის ორი სახეობა

---

[53] ევროპული კანონმდებლობა ტურიზმის სფეროში, საინფორმაციო ბროშურა, Konrad-Adenauer-Stiftung, თბილისი, 2018, http://eprc.ge/uploads_script/publication/Publication-TURIZMI-compressed.pdf

[54] ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, მიღებული: 27/06/2014წ.-ს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ, დოკუმენტის №200/42, იხ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0

[55] ასოცირების ხელშეკრულება და ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში, თბილისი, 2017 წლის მაისი, იხ. http://nala.ge/uploaded/nala/2019-02/201902131920022812352 48.pdf

არსებობს: პირველი, - დაგეგმილი და ორგანიზებული ტურიზმი - ტურისტული ორგანიზაციების მიერ ექსკურსიებისა და მარშრუტების მიხედვით მოწყობილი მოგზაურობა, მეორე, - დაუგეგმავი და არაორგანიზებული ტურიზმი, როდესაც გარკვეული ჯგუფები თავად გეგმავენ მარშრუტს და იმის მიხედვით მოგზაურობენ, რაც თვით-მომსახურების პრინციპებზეა აგებული.[56] საქართველოსა და ევროკავშირის ტურისტულ მომსახურებასთან დაკავშირებული კანონმდებლობების შედარებითი ანალიზი და საქართველოს კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების თაობაზე რეკომენდაციების წარმოდგენა დარგის სათანადო რეგულირების გაუმჯობესებისა და სრულყოფის მიზნით უმნიშვნელოვანესია, მათ შორის ახალი სამართლებრივი სტანდარტების დასანერგად, ორგანიზებული ტურიზმის განვითარების კუთხით.

როგორც აღინიშნა, 2015 წლის 25 ნოემბერს ევროკავშირმა მიიღო ახალი ,,დირექტივა 2015/2302 ტურისტული პაკეტისა და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ“, რომელიც წარმოადგენს ევროკავშირის მიერ მიღებულ უახლეს რეგულაციას ტურიზმის სფეროში. აღნიშნული დირექტივა ევროკავშირის ყველა ქვეყანაში 2018 წლის 1 ივლისიდან შევიდა ძალაში და ჩაანაცვლა ,,ევროპული საბჭოს 90/314/EC დირექტივა სამოგზაურო პაკეტის, დასვენებისა და ტურების შესახებ''. ვინაიდან, ასოცირების შეთანხმებას 2014 წლის 27 ივნისს მოეწერა ხელი, ხოლო ამ დროისათვის ტურიზმის სექტორში ჯერ კიდევ ძველი დირექტივა მოქმედებდა ასოცირების ხელშეკრულების დანართებში შესაბამისად გაიწერა ევროპული საბჭოს 90/314/EC დირექტივა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებით კი საქართველოს უნდა მოეხდინა მისი გადატანა ეროვნულ კანონმდებლობაში შეთანხმების ძალაში შესვლიდან 5 წლის განმავლობაში. აღნიშნულმა ფაქტმა ქართული სამეცნიერო წრეების ნაწილში დაბნეულობა გამოიწვია, ვინაიდან მათთვის გაურკვეველი იყო, რა

[56] Romanova O.B., Tourism and Environmental Protection, Pace Environmental Law Review, vol. 7, 1989, p 189 https://digitalcommons.pace.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1546&context=pelr

მიზანს ემსახურებოდა ასოცირების შეთანხმებაში დღეისათვის გაუქმებული ან შინაარსშეცვლილი დირექტივების მითითება[57].

საქმე იმაშია, რომ ასოცირების შეთანხმების 418-ე მუხლი, დინამიური დაახლოების ცნებას განსაზღვრავს, რომლის შინაარსიდან გამომდინარე საქართველოს მიერ, ევროკავშირის სამართლებრივ სივრცეში მოქმედი აქტები უნდა იქნეს გამოყენებული. საქართველომ არ უნდა იხელმძღვანელოს ევროკავშირის ძალადაკარგული კანონებით, რაც იმას ნიშნავს, რომ დაახლოება უნდა მოხდეს იმ სტანდარტებთან, რომლებსაც კანონიერი ძალა აქვს ევროკავშირის შიდა ბაზრისათვის. დინამიური აპროქსიმაციის პრინციპის ფარგლებში, საქართველოს რატიფიცირების გარეშე შეუძლია გამოიყენოს ევროკავშირის ახალი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც განსხვავდება ასოცირების შეთანხმების დანართებში აღნიშნული აქტებისაგან.[58]

ამრიგად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 თავისა (ტურისტული მომსახურება) და ევროკავშირის დირექტივა 2015/2302-ის შედარებითი ანალიზი საინტერესო საშუალებაა საუკეთესო ევროპული პრაქტიკის გაზიარებისა და ტურისტული უფლებების მარეგულირებელი აქტის ეფექტური იმპლემენტაციის მიზნით. მაგალითად, ტურისტული მომსახურების ცნება სსკ-ს 657 (I) მუხლში მოიხსენიება, როგორც „ტურისტული ხელშეკრულება“, რაც საკანონმდებლო ხარვეზს წარმოადგენს.[59]

3.2. ლიცენზირების საკითხი ტურისტულ მომსახურებაში;

ევროკავშირის დირექტივა ტურისტული მომსახურების დეტალურ განმარტებას იძლევა. კერძოდ, ახალი ევროპული რეგულირების

---

[57] აღნიშნული გაურკვევლობა აისახა მათ შორის ზოგიერთ სამაგისტრო ნაშრომსა და სხვადასხვა სტუდენტურ სტატიებში.

[58] ქარდავა ე. სამართლებრივი დაახლოება Legal Approximation სახელმძღვანელო პრინციპები, „ფაუნტეინ ჯორჯია“, თბილისი, 2017, გვ.19, http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/83802/

[59] გაბიჩვაძე შ., ტურისტული მომსახურების სამოქალაქო სამართლებრივი რეგულირება, მართლმსაჯულება და კანონი №2 (37)'13, 74, 75. http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ABA37.pdf

საფუძველზე საერთო ჯამში სამოგზაურო პაკეტის რამოდენიმე ტიპი ჩამოყალიბდა. პირველი ტიპი ძველი დირექტივიდან გამომდინარეობს და ორი ან მეტი სამოგზაურო მომსახურების ერთობლიობას მოიცავს, რომელიც ერთ კონტრაქტშია გაწერილი და ერთი ორგანიზატორი ჰყავს.[60] აღნიშნულ კლასიკურ შემთხვევას აწესრიგებს ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების სამოქალაქო კოდექსის ქართული ნორმები. მაგალითად: ერთი ორგანიზატორის მიერ, ერთ კონტრაქტში შემოთავაზებულია საცხოვრებლის, ტრანსპორტის და ექსკურსიების ერთობლიობა. აქ მნიშვნელობა არ აქვს პაკეტი სტანდარტულია, თუ მოგზაურის მოთხოვნით კომბინირებულია.

სამოქალაქო კოდექსის ავტორთა ნაწილის მოსაზრებით „ტურისტული მომსახურება მიიჩნევა სამეწარმეო საქმიანობად, რის გამოც მოგზაურობის მომწყობი შეიძლება იყოს მხოლოდ საწარმო, რომელიც „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მოთხოვნათა დაცვით ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას ტურისტული მომსახურების სფეროში“[61]. აღნიშნულთან დაკავშირებით საპირისპირო აზრიც არსებობს, კერძოდ, პროფესორ გ. ცერცვაძის აზრით „მოგზაურობის მომწყობის მიმართ რაიმე შეზღუდვას მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. იგი შეიძლება იყოს ფიზიკური პირი, იურიდიული პირი და გაერთიანება, რომელიც არ არის იურიდიული პირი.“[62]

ახალი 2015/2302 დირექტივის მიხედვით, არსებობს ოთხი ახალი სიტუაცია, რომლებიც წარმოადგენს ტურისტულ მომსახურებას მაშინაც კი, თუ არსებობს ორი ან მეტი ცალკეული კონტრაქტი ინდივიდუალური

---

[60] The European Package Travel Directive, CBI Ministry of foreign affairs, https://www.cbi.eu/market-information/tourism/how-work-new-2018-european-package-travel-directive/

[61] ცისკაძე მ., ჭანტურია ლ. (რედ), სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2001, გვ. 292. https://tsufacultyoflaw.files.wordpress.com/2016/08/komentarebi-4-saxelshekrulebo.pdf

[62] ცერცვაძე გ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 18.04.2016, მუხ. 657, ველი 11. http://www.gccc.ge/

მომსახურების მომწოდებლებთან.[63] ესენია: 1. მგზავრთა გადაყვანა, რომელიც სატრანსპორტო მომსახურებას მოიცავს. 2. განთავსება, რომელიც არ შედის სატრანსპორტო მომსახურებაში. 3. ავტოსატრანსპორტო საშუალების, მათ შორის მოტოციკლის (A კატეგორიის მართვის მოწმობით) ქირაობა. 4. სხვა ტურისტული მომსახურება, რომელიც არ შედის წინა სამ მომსახურებაში.

ამასთანავე, 2015/2302 დირექტივის მეორე შენიშვნის თანახმად, დღეისათვის სამგზავრო მომსახურება არა მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული ტურისტული პაკეტის ელემენტებით, არამედ სხვა, მასთან დაკავშირებული მომსახურებებითაც არის მოწყობილი და შერწყმული პაკეტთან, 90/314/EEC დირექტივის მიღებიდან კი ტურისტულმა ბაზარმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, გარდა ტრადიციული სადისტრიბუციო ქსელებისა, ინტერნეტი გახდა უფრო მნიშვნელოვანი საშუალება, რომლის საშუალებითაც შემოთავაზებულია ან იყიდება მოგზაურობის სერვისები. სამგზავრო სერვისების მრავალი კომბინაცია იმყოფება იურიდიულ ,,ნაცრისფერ ზონაში", ან აშკარად არ არის გათვალისწინებული 90/314/EC დირექტივით. ამიტომ გახდა აუცილებელი დღევანდელ მდგომარეობაზე წესების მორგება და ახალი, შედარებით სრულყოფილი დირექტივის მიღება.[64]

ამრიგად, 90/314/EEC დირექტივა მხოლოდ განმარტავდა ორგანიზატორსა და საცალო მოვაჭრეს, ორგანიზატორად მიიჩნეოდა პირი, რომელიც ორგანიზებას უწევს პაკეტის გაყიდვას და სთავაზობს მას მომხმარებელს პირადად ან საცალო მოვაჭრის საშუალებით, ხოლო „საცალო მოვაჭრედ" ამავე დირექტივის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით

[63] Directive (EU) 2015/2302, supra N. 75, art. 3, paragraph 1, იხ. https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32015L2302

[64] Directive (EU) 2015/2302, supra N. 75, art. 2, paragraph 2, იხ. https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32015L2302

ითვლებოდა პირი, რომელიც ჰყიდდა ან სთავაზობდა ტურისტულ პაკეტს პიროვნებას ორგანიზატორთან ერთად.[65]

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსაზრება, რომლითაც მოგზაურობის მომწყობი შეიძლება იყოს მხოლოდ სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტი შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. ხოლო, თუკი არამეწარმე სუბიექტი ტურისტული პაკეტით ვაჭრობს და სთავაზობს ამ პაკეტს ტურისტებს, ევროკავშირის დირექტივებიდან გამომდინარე იგი წარმოადგენს საცალო მოვაჭრეს და არავითარ შემთხვევაში არ არის ორგანიზატორი. მეწარმე, ამ შემთხვევაში ტურისტული სააგენტო, ორგანიზატორი, მომსახურების მიმწოდებელი არის პირი, რომელიც მომხმარებელთან ხელშეკრულებას დებს თავისი სავაჭრო, სამეწარმეო ან პროფესიული საქმიანობის ფარგლებში.[66]

ევროკავშირის ქვეყნებისგან განსხვავებით საქართველოში არ მოქმედებს ლიცენზიის ან ნებართვის აღების სავალდებულო წესები, რათა სახელმწიფოს მიერ განხორციელდეს ტურისტული მომსახურების საქმიანობის ზედამხედველობა, რაც ხშირ შემთხვევაში იწვევს მომსახურების სფეროში ქაოსს, საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი ღონისძიებების გატარება და დამატებითი მოთხოვნების შემუშავება, რომელთა შესრულება არ გამოიწვევს მკაცრ რეპრესიულ ღონისძიებებს (მაგალითად, საქმიანობის შეწყვეტა), მაგრამ დააინტერესებს სექტორის წარმომადგენლებს,[67] აღნიშნული კი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ტურისტების, როგორც მომხმარებლების უფლებების დაცვას.

3.3. ტურისტული მომსახურების მინიმალური ხანგძლივობა

---

[65] Council Directive 90/314/EEC, supra N. 74, art. 2, paragraph 2, paragraph 3. იხ. https://eurlex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:31990L0314:en:HTML

[66] მაისურაძე დ., სულხანიშვილი ე., ვაშაკიძე გ., ევროკავშირის კერძო სამართალი, გადაწყვეტილებები და მასალები, ნაწილი I, მომხმარებელთა დაცვის სამართალი, შრომის სამართალი, კორპორაციული სამართალი, კონკურენციის სამართალი, თბილისი, 2018, გვ. 31. http://lawlibrary.info/ge/books/2018giz-ge-evrokavshiris_kerdzo_samartali.pdf

[67] ტურიზმის რეგულირება, პრიორიტეტული დარგის მოძველებული კანონმდებლობა, ბათუმის ტურიზმის ინსტიტუტი, ბათუმი, 2017, 27-28. იხ. http://tourisminstitute.ge/files/attach/tourism_regulation.pdf

დირექტივა 2015/2302 მიზნად ისახავს დაარეგულიროს ტურისტული პაკეტები/ტურები, რომლებიც აკმაყოფილებს შემდეგ ორ კრიტერიუმს: მთლიანობაში სერვისი ფარავს დროის პერიოდს, რომელიც აღემატება 24 საათს და პაკეტები გაყიდულია ინკლუზიურ ფასად. შესაბამისად, იგი არ ვრცელდება ტურებზე, რომლებიც 24 საათზე ნაკლები ხნის განმავლობაში გრძელდება, ასევე ბიზნეს მოგზაურობებზე და არამომგებიან ტურებზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ტურისტული პაკეტის განმარტებისას 24 საათიან დათქმას საერთოდ არ მოიცავს. აღნიშნული საკითხი გამართლებული იქნა საქართველოს ტერიტორიის სიმცირითა და მასზე ტურისტული ადგილების გადანაწილებით, რითაც ხაზი გაესვა შესაძლებლობას, 24 საათზე ნაკლებ დროში მოესწროს მოგზაურობა.[68]

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ვერ დავეთანხმებით ზოგიერთ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც მომსახურების ტურისტულ პაკეტად მიჩნევას დროის სიმცირემ ხელი არ უნდა შეუშალოს. საქმე იმაშია, რომ დროის ხანგძლივობის განსაზღვრის გარეშე, მომსახურებაზე სრულად ვერ გავრცელდება ტურისტული ხელშეკრულების მომწესრიგებელი და მოგზაურთა უფლებების დამცველი ნორმები. ამასთანავე, საქართველოს კანონი ,,ტურიზმისა და კურორტების შესახებ'' განსაზღვრავს ტურისტის ცნებას, რომლის მიხედვითაც ტურისტი ნებაყოფლობით მოგზაურობს არანაკლებ 24 საათის და არა უმეტეს ერთი წლის ვადით.[69] იგივე კანონი განმარტავს ექსკურსიის ცნებას, რომელიც არის ღირსშესანიშნავი ადგილის დათვალიერება, გასეირნება ან გამგზავრება შემეცნებითი, სპორტული ან დასვენების მიზნით.[70]

90/314/EEC დირექტივა განმარტავდა მხოლოდ მომხმარებელს, რომლის მიხედვითაც იგი იყო პირი, რომელიც ყიდულობს ან თანახმაა იყიდოს ტურისტული პაკეტი, რომელიც ასევე შეიძლება შეიძინოს სხვა

---

[68] ცერცვაძე გ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 18.04.2016, მუხ. 657, ველი 18. http://www.gccc.ge/

[69] საქართველოს კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ, მუხლი 2. https://matsne.gov.ge/ka/document/view/33370?publication=9#!

[70] იქვე. მუხლი 2.

პირის („სხვა ბენეფიციარის“) სასარგებლოდ ან გადასცეს შემდგომში მესამე პირს - „მიმღებს“.[71] ამავე დირექტივის თანახმად, მოგზაურობის პაკეტი ნიშნავს ორზე მეტ ტურისტული მომსახურების კომბინაციას (ტრანსპორტირება, განთავსება და სხვა ტურისტული მომსახურება), რა დროსაც იგი უნდა გრძელდებოდეს მინიმუმ 24 საათი, მოიცავდეს ღამისთევას სასტუმროში და რაც მთავარია, მომსახურების პაკეტი უნდა იყოს წინასწარ მომზადებული და შეთავაზებული.

დღეის მდგომარეობით სამოქალაქო კოდექსი, ტურისტული მომსახურების მომწესრიგებელი ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, ექსკურსიას, რომელიც ცალკე სამოგზაურო სერვისია და 24 საათზე ნაკლებ დროში შეიძლება მოესწროს, ტურისტული პაკეტად განიხილავს, რაც არასწორ მოწესრიგებას წარმოადგენს ნორმის მიზნიდან გამომდინარე. განსხვავება ნათლად ჩანს, შიდა ტურისტებისა და შიდა სტუმრების მაგალითზე, რომლის მიხედვითაც ადამიანი, რომელიც მოგზაურობს საკუთარ ქვეყანაში ნებისმიერი მიზეზით, რომლის ხანგრძლივობაც არ აღემატება 24 საათს ადგილობრივი სტუმარია.[72] მოცემულ მსჯელობას განამტკიცებს 2015/2302 დირექტივის შინაარსი, რომლის თანახმადაც მოგზაურობის მოკლევადიანი ხასიათიდან გამომდინარე, ნაკლებად წარმოიშობა მოგზაურთა უფლებების დაცვის საჭიროება. აგრეთვე, მოგზაურობის მომწყობისათვის (ტურისტული საწარმო) ზედმეტი ტვირთის თავიდან ასაცილებლად კანონმდებლობაში 24 საათზე ნაკლები ხანგძლივობის მითითება არ არის რეკომენდირებული.[73]

ახალი 2015/2302 დირექტივა მოგზაურს განმარტავს პირად, რომელსაც სურს დადოს ხელშეკრულება დირექტივის ფარგლებში

---

[71] Council Directive 90/314/EEC, supra N. 74, art. 2, paragraph 4, იხ. https://eurlex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:31990L0314:en:HTML

[72] Anuar A. N. A., Ahmed H., Jusoh H., Hussain M. Y., Understanding the Role of Stakeholder in the Formation of Tourist Friendly Destination Concept, Published by Canadian Center of Science and Education, Journal of Management and Sustainability; vol. 2, №2; 2012, 71-72. https://pdfs.semanticscholar.org/4913/70bcd01d8c754eefc208886bf52ddb1f3d8a.pdf

[73] DIRECTIVE (EU) 2015/2302 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL, Line (19) https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32015L2302

გათვალისწინებულ მომსახურებაზე, ტურისტად არ მიიჩნევა პირი და დირექტივის მოქმედება არ ვრცელდება მოგზაურობაზე, რომელიც მოიცავს 24 საათზე ნაკლებ პერიოდს და ამ გადაადგილებაში არ შედის ღამისთევა.[74]

3.4. სანდო და სწორი ინფორმაციის მნიშვნელობა ტურისტულ მომსახურებაში;

ტურისტულ ბაზარზე უკვე დიდი ხანია, რაც წარმოიშვა მთელი რიგი საკანონმდებლო პრობლემები, რომლებიც უკავშირდება გამყიდველთა მხრიდან არაკეთილსინდისიერ ქცევას. დირექტივის მიზანს სწორედ ამ ხარვეზების აღმოფხვრა, გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და მოგზაურთა უფლებების დაცვა წარმოადგენს. დირექტივის წესები ვრცელდება მხოლოდ იმ პაკეტებზე, რომლებიც აერთიანებს ქვემოთ ჩამოთვლილიდან მინიმუმ ორი ტიპის სამოგზაურო სერვისებს: ტრანსპორტირება, სასტუმროში განთავსება, მანქანის დაქირავება, გიდის მომსახურება ან სხვა მსგავსი ტიპის სერვისი. ტურისტული მოგზაურობის ძველი დირექტივა არ იყო ჰარმონიული მთელ ევროპაში, ამიტომ ახალი დირექტივით ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება არის "სამოგზაურო პაკეტის" გაფართოებული განმარტება, რომლის მიხედვითად იგი უნდა აერთიანებდეს შემდეგი ტიპის მომსახურების მინიმუმ ორს: მგზავრების ტრანსპორტირება, საცხოვრებელი, ავტოსატრანსპორტო საშუალების დაქირავება და სხვა სამოგზაურო სერვისები, როგორიცაა ექსკურსიები, ტურები, მუზეუმში ვიზიტები და სხვა. დირექტივის მსგავსად, ქართული კანონმდებლობაც აუცილებლად მიიჩნევს, რომ ტურისტული პაკეტი უნდა შედგებოდეს მომსახურების ორი ან ორზე მეტი კომპონენტისაგან (კვება, ღამის თევა, სატრანსპორტო მომსახურება და სხვა), რომელთა ღირებულება შედის პაკეტის ფასში.[75] აღნიშნული განმტკიცებულია სასამართლო პრაქტიკითაც სადაც პირდაპირ მითითებიულია რომ „მხოლოდ ერთი მომსახურების გაწევა ვერ მიიჩნევა ტურისტული მომსახურების ხელშეკრულებად, რადგან

[74] Directive (EU) 2015/2302, supra N. 75, art. 3, paragraph 6, იხ. https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32015L2302

[75] ცერცვაძე გ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 18.04.2016, მუხ. 657, ველი 16. http://www.gccc.ge/

ტურისტული მომსახურების პაკეტი შედგება ტურისტული მომსახურების ორი ან ორზე მეტი კომპონენტისგან (კვება, საცხოვრებელი, სატრანსპორტო მომსახურება და სხვა), რომელთა ღირებულება შედის პაკეტის ფასში."[76]

თავის მხრივ, სამოქალაქო კოდექსის 657[1] მუხლი იცავს ტურისტს ინფორმაციის მიწოდების ფორმის, შინარსის თუ მიწოდების თანმხლები გარემოებების გათვალისწინებით არ იქნას შეცდომაში შეყვანილი ორგანიზატორის მიერ. დარგის სპეციალური ტერმინოლოგია, ასევე არ უნდა გახდეს ტურისტის შეცდომაში შეყვანის საფუძველი. [77]

2015/2302 დირექტივის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით, რომელიც განმარტავს ტურისტულ პაკეტს, კომბინაცია შიძლება შეიქმნას მოგზაურის მითითებით, თუ რა მომსახურებები სურს მას და აღარ არის აუცილებელი „წინასწარ განსაზღვრული" პაკეტი შეიძინოს მომხმარებელმა.[78] ამის გათვალისწინებით სამოქალაქო კოდექსის 657[2] მუხლი, რომელიც 90/314/EEC ევროპული დირექტივის მესამე მუხლის რეცეფციის შედეგად ჩამოყალიბდა, ჩამოთვლის დეტალური ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობას „ხელშეკრულების დადებამდე, წერილობით ან ტურისტისათვის მისაღები სხვა ფორმით". 90/314/EEC დირექტივის შესაბამის ნორმა, დამატებით ადგენდა, რომ ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია მითითებული უნდა იყოს ჯერ კიდევ ბროშურაზე, რომელიც ხელმისაწვდომი გახდა მომხმარებლისათვის.[79]

სასამართლოს განმარტებით, ტურისტული მოგზაურობის მომწყობი არის პირი, რომელსაც გააჩნია საკმარისი ცოდნა, ინფორმაცია და გამოცდილება ტურების ორგანიზების მხრივ. ტურისტი, თავის მხრივ, ენდობა მოგზაურობის მომწყობის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას და

---

[76] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-129-121-2017, პუნქტი 22 http://prg.supremecourt.ge/

[77] ცერცვაძე გ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 18.04.2016, მუხ. 657.1, ველი 5. http://www.gccc.ge/

[78] The Package Travel and Linked Travel arrangements regulations, 2018, 7. იხ. https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/749498/package-travel-regulations-2018.pdf

[79] Council Directive 90/314/EEC, supra N. 74, art. 3, paragraph 2, იხ. https://eurlex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:31990L0314:en:HTML

ითვალისწინებს მის რეკომენდაციას. მხარეთა კეთილსინდისიერების ვალდებულება და, ასევე, კონკრეტულად სსკ-ის 657[1]-ე, 657[2]-ე და 659-ე მუხლების ჩანაწერი ავალდებულებს ტურისტული მოგზაურობის მომწყობს, მიაწოდოს საკმარისი ინფორმაცია და ტურისტების საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით დაგეგმოს ტური. ტურისტული მომსახურების ხელშეკრულება გარკვეული შინაარსით წარმოადგენს ე.წ. „კაუზალურ“ გარიგებას, რომლის შინაარსშიც შედის ტურისტული მოგზაურობის მიზანი. მიზნის მიუღწევლობა შესაძლოა ტურისტისთვის სუბიექტურად მნიშვნელოვნად ამცირებდეს ტურის ღირებულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ტურის ორგანიზატორს ეკისრება პასუხისმგებლობა ტურის არასწორად და ტურისტის მიზნებთან შეუსაბამოდ დაგეგმვისათვის, რამაც საბოლოოდ გამოიწვია ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულება.[80]

მსგავსად სამოქალაქო კოდექსის 657[2] მუხლისა, 2015 წლის ევროპული დირექტივის თანახმად, ტურისტული პაკეტის ორგანიზატორი ვალდებულია მიაწოდოს მომხმარებელს ამომწურავი ინფორმაცია. ბიზნესოპერატორმა მომხმარებელს უნდა აუხსნას ტურისტული პაკეტის დეტალები, წარუდგინოს ზუსტი ინფორმაცია პაკეტის ფასზე და შესაძლო დამატებით ხარჯებზე; აღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსის მითითებული ნორმები (657[1] და 657[2] მუხლები) ყველაზე უფრო უნდა მივიჩნიოთ ევროკავშირის სამართალთან შესაბამისობაში მყოფ რეგულაციად, ვიდრე ტურისტული მომსახურების მარეგულირებელი რომელიმე ნებისმიერი სხვა მუხლი. აღნიშნული შესაბამისობა დაცულია სამოქალაქო კოდექსის 657[3] მუხლში, რომელიც აგრეთვე დირექტივა 90/314/EEC-ის მე-4 მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილების ძლიერ გავლენას განიცდის.

2015/2302 დირექტივა დეტალურად განსაზღვრავს რომელი ინფორმაცია და რა დროს უნდა მიეწოდოს ტურისტს, და დანართების

[80] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1102-1059-2016.

სახით სთავაზობს წევრ სახელმწიფოებს სხვადასხვა ფორმებს, რომლებიც გამოიყენება წინასახელშეკრულებო ურთიერთობების დროს.[81] ორგანიზატორები პასუხისმგებელნი არიან მათ მიერ გაყიდულ სამოგზაურო პაკეტებზე. ეს ნიშნავს, რომ ისინი ფინანსურად პასუხისმგებელნი არიან თუნდაც ვებსაიტზე ინფორმაციის შეცვლის შემთხვევაში და მოგზაურები ყოველთვის დაზღვეული არიან. შესაბამისად, ძალზედ მნიშვნელოვანია აღნიშნული დანართები ქართულ სამართლებრივ სივრცეშიც იქნას გადმოტანილი, ვინაიდან, ინფორმაციის მიწოდებასთან წარმოშობილი დავის შემთხვევაში, ახალი 2015/2302 დირექტივა აკონკრეტებს, რომ მტკიცების ტვირთი ეკისრება მოგზაურობის მომწყობს. [82]

3.5. გადახდისუუნარობის საკითხები ტურისტული მომსახურების ხელშეკრულებაში.

2015/2302 დირექტივის თანახმად, ორგანიზატორი ვალდებულია, მისცეს მომხმარებელს კომპენსაცია იმ შემთხვევაში, თუ ტურისტული პაკეტის ორგანიზატორი გაკოტრდება პაკეტით გათვალისწინებული მოგზაურობის გამოყენებამდე. ტურისტული პაკეტის ორგანიზატორის ასეთი პასუხისმგებლობა სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული საერთოდ არ არის და მოქმედებს გადახდისუუნარობის საერთო წესები, რომლის მიხედვითაც კრედიტორის დასაკმაყოფილებლად მოვალის მხოლოდ შემოსავალი და ქონება გამოიყენება. აღნიშნული კი გარანტიას არ იძლევა რომ კრედიტორის დაკმაყოფილება კრიზისის დროსაც მოხდება.[83]

ახალ ევროპულ დირექტივაში გათვალისწინებულია დებულებები, რომლებიც უზრუნველყოფს მოგზაურების დაცვას ორგანიზატორების გადახდისუუნარობისაგან. ევროპელი მოგზაურების დასაცავად, სამოგზაურო პაკეტის გაფართოებული განმარტებით, ორგანიზატორები

---

[81] Directive (EU) 2015/2302, supra N. 75, art. 5, Part A or Part B of Annex I, იხ. https://eur-lex.europa.eu/legalcontent/EN/TXT/?uri=CELEX%3A32015L2302

[82] Directive (EU) 2015/2302, supra N. 75, art. 8, paragraph 5, subparagraph (g), (h). იხ. https://eurlex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32015L2302

[83] შნიტგერი ჰ, მიგრიაული რ. გადახდისუუნარობის საქართველოს კანონი, ,,სიესტა" თბილისი, 2011, გვ. 13 http://migri-law.ge/download/gadaxdisuunarobis_kanoni.pdf

პასუხისმგებლები არიან უფრო მეტი ტიპის მოგზაურობისთვის, ვიდრე ადრე. აღნიშნული გავლენას ახდენს ორგანიზატორზე, რადგანაც ევროპული კანონმდებლობით მოითხოვება პასუხისმგებლობის დაზღვევა, შესაბამისად, ევროპელი მოგზაურები ასევე უნდა იყვნენ დაცული გადახდისუუნარობისგან. ეს ნიშნავს, რომ მოგზაურებს მოგზაურობის მომწყობთა გაკოტრების შემთხვევაში უნდა დაუბრუნდეთ გადახდილი თანხა სრულად. ამის უზრუნველსაყოფად ორგანიზატორებს შეიძლება დაეკისროთ გადახდისუუნარობის დაცვისგან დაზღვევა და მათ უნდა უზრუნველყონ გადახდისუუნარობისაგან დაცვა.

გადახდისუუნარობისგან დაცვა უნდა შეიცავდეს მოგზაურობის მიერ გადახდილ თანხების დაბრუნების შესაძლებლობას. თუ პაკეტში შედის მგზავრთა ტრანსპორტირება, გადახდისუუნარობისგან დაცვა უნდა ითვალისწინებდეს მოგზაურთა რეპატრიაციაც (უკან დაბრუნებას). ევროპის ბევრ ქვეყანაში მაგალითად, გერმანიაში მოგზაურებს აძლევენ ერთგვარ სერტიფიკატებს, რომელიც წარმოადგენს გადახდის უფლების დამადასტურებელ დოკუმენტაციას. ამ ტიპის სერტიფიკატით გადახდისუუნარობის შემთხვევაში შესაძლებელია თანხების დაბრუნება.

გადახდისუუნარობის დაცვის სხვადასხვა სახეობები არსებობს. 90/314/EEC დირექტივის მე-7 მუხლი მოგზაურობის მომწყობს ავალდებულებდა გარანტიების წარდგენას მომხმარებლისათვის მისი გაკოტრების შემთხვევაში მომხმარებელთა რეპატრიაციისა და თანხების უკან დაბრუნების თაობაზე.[84] გარანტიის ზოგიერთ ვარიანტს წარმოადგენს მოგზაურობის გარანტიის ფონდი, საბანკო გარანტია, დაზღვევა, ან ამ ზომების კომბინაცია. ამ მომსახურების მიმწოდებლები ხშირად მოითხოვენ, რომ ტურისტული პაკეტის ორგანიზატორის დაწესებულება იყოს ევროპულ ქვეყანაში.

2015/2302 დირექტივის მე-12 მუხლის პირველი პუნქტით წევრ სახელმწიფოებს ევალებათ უზრუნველყონ შესაბამისი რეგულაციების

[84] Council Directive 90/314/EEC, supra N. 74, იხ. https://eurlex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:31990L0314:en:HTM

მიღება, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება ტურისტთათვის ყველა თანხის დაბრუნება მოგზაურობის მომწყობის გადახდისუუნარობისას, აგრეთვე განსაზღვრონ წესები, რომელთა მიხედვითაც მოხდება ტურისტთა რეპატრიაცია.[85]

ახალი დირექტივა ევროპული სამოგზაურო ტურების ორგანიზატორებს საერთო მოთხოვნებს უყენებს, რომ მათ როგორც მომსახურების მომწოდებლებს ჰქონდეთ პასუხისმგებლობა და გადახდისუუნარობის დაზღვევა. იმ შემთხვევაში თუ ორგანიზატორი განვითარებადი ქვეყნის მომსახურების მომწოდებელს წარმოადგენს პასუხისმგებლობის ან/და გადახდისუუნარობის დაზღვევაზე, თუ ეს მიუწვდომელია მათ ადგილობრივ ბაზარზე, მათ შეუძლიათ გააფართოონ საკუთარი სადაზღვევო პოლისი და აღნიშნული კუთხით გამოიყენონ.

დაზღვევა ტურისტული პროდუქტის ერთ–ერთ შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს. სადაზღვევო ურთიერთობები განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საერთაშორისო ტურიზმში.[86] საქართველოში, ისევე როგორც ბევრ განვითარებად ქვეყანაში, შესაბამისი დაზღვევა არ არის ხელმისაწვდომი. ადგილობრივი სადაზღვევო კომპანიები ხშირად იყენებენ საერთაშორისო სახელწოდებას, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ისინი უზრუნველყოფენ მომსახურების იმავე სტანდარტს, როგორც საერთაშორისო კომპანია. ამ ტიპის დაზღვევის მიღება შეიძლება საკმარისი იყოს ევროპული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, მაგრამ რამდენად იმოქმედებს ეს დაზღვევა პრაქტიკაში, შეიძლება გაურკვეველი იყოს. თუ პასუხისმგებლობის დაზღვევა ქვეყანაში ხელმისაწვდომი არ არის ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმება საზღვარგარეთ. მაგალითად, სადაზღვევო კომპანიები ჰონგ კონგიდან, ჩინეთიდან ან ავსტრალიიდან, ხშირად იღებენ

---

[85] Directive (EU) 2015/2302, supra N. 75, იხ. https://eur-lex.europa.eu/legalcontent/EN/TXT/?uri=CELEX%3A32015L2302

[86] ბერიძე თ; ტურისტული საქმიანობის სახელმწიფო მარეგულირებელი მექანიზმებისა და რეგიონული ტურიზმის განვითარების სრულყოფის საკითხები; ბათუმი - 2016; გვ.120 იხ. https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_6058_1.pdf

კლიენტებს სხვა ქვეყნებიდანაც. აღნიშნული საშუალებას იძლევა ტურისტული მომსახურების ორგანიზატორებმა შეასრულონ ევროპული მოთხოვნები.

როდესაც ორგანიზატორი უზრუნველყოფს ტურისტის გადახდისუუნარობის დაცვას, ამავდროულად იგი პასუხისმგებელია მთლიანი პაკეტისთვის და პაკეტის სამოგზაურო ხელშეკრულების უფლებების და მოვალეობების უზრუნველყოფაზე. ორგანიზატორმა უნდა აცნობოს მოგზაურებს სტანდარტული ინფორმაციის ფორმის საშუალებით, რომ კომბინაცია წარმოადგენს დაკავშირებულ სამოგზაურო შეთანხმებას და რომ მათ აქვთ იგივე უფლებები, როგორც პაკეტის სამოგზაურო ხელშეკრულების თანახმად. თუ ორგანიზატორი ამას არ გააკეთებს დირექტივა განსაზღვრავს, რომ უფლების უმეტესობას ტურისტი ჩვეულებრივ გამოიყენებს. ეს ნიშნავს, რომ ორგანიზატორი არა მხოლოდ ვალდებულია უზრუნველყოს ტურისტებიდან მიღებული თანხებისათვის გადახდისუუნარობის დაცვა, არამედ იგი აგრეთვე პასუხისმგებელია ყველა სამოგზაურო მომსახურების სწორად შესრულებაზე, მათ შორის ვებგვერდის გამართულ მუშაობაზე და ინფორმაციის სისწორეზე.

ახალი 2015/2302 დირექტივის მიხედვით წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შექმნან შესაბამისი დაწესებულებები, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან მოგზაურობის მომწყობთა ზედამხედველობაზე, რამდენად კეთილსინდისიერად ასრულებენ მოვალეობებს, განსაკუთრებით მათი გადახდისუუნარობისას მომხმარებელთა ხარჯების ანაზღაურებისა თუ რეპატრიაციის კუთხით.[87]

3.6. ორგანიზატორის პასუხისმგებლობის თვითშეზღუდვა

დირექტივა 90/314/EEC სახელმწიფოებს საშუალებას აძლევდა საკუთარი შეხედულებისამებრ დაედგინათ ტურისტული პაკეტის ორგანიზატორის პასუხისმგებლობის საკითხი, რაც ხშირ შემთხვევაში ბევრ გაუგებრობას იწვევდა. ახალი დირექტივით, ტურისტული პაკეტის

[87] Directive (EU) 2015/2302, supra N. 75, art. 18, paragraph 1-2, იხ. https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32015L2302

ორგანიზატორი პასუხისმგებელია პაკეტში შემავალ ყველა მომსახურებაზე, მიუხედავად იმისა, ვინ არის ამ სერვისის მიმწოდებელი. ტურისტული პაკეტის მთავარი მახასიათებელია ის, რომ არსებობს ერთი ტრეიდერი, რომელიც, როგორც ორგანიზატორი, პასუხისმგებელია პაკეტის სწორად შესრულებისთვის. სამოქალაქო კოდექსის 664-ე მუხლში ძველი დირექტივის საფუძველზე გათვალისწინებულია მოგზაურობის მომწყობის პასუხისმგებლობის შეზღუდვა. პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფარგლები არ უნდა აღემატებოდეს მომსახურების ღირებულების სამმაგ ოდენობას შეზღუდვა არ ვრცელდება განზრახვაზე და უხეშ გაუფრთხილებლობაზე აგრეთვე იმ ზიანისათვის, რომელიც წარმოიშვა მოგზაურობის მომწყობის ვალდებულების შემსრულებელთაგან ერთ-ერთის ბრალის შედეგად.[88] მოგზაურობის პაკეტის დამახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ ორგანიზატორი დებს ხელშეკრულებებს მომსახურების გამწევ სხვადასხვა პირებთან და მათ ერთობლიობას სთავაზობს მოგზაურს. ტურისტული მომსახურება გულისხმობს რამოდენიმე ვალდებულების ერთ ოფერტად შეთავაზებას[89] შესაბამისად, ორგანიზატორმა სრულად უნდა იტვირთოს პასუხისმგებლობა ტურისტის წინაშე.

სამოქალაქო კოდექსის 662-ე მუხლის მესამე ნაწილის ა) ქვეპუნქტი გამორიცხავს მოგზაურობის მომწყობის პასუხისმგებლობის საკითხს თუ იგი გამოწვეულია მოგზაურობის მოსაწყობად აუცილებელი პირთა რაოდენობის სიმცირით. აღნიშნულის შესახებ ტურისტს წერილობითი ფორმით უნდა ეცნობოს იმ ვადის განმავლობაში, რომელიც მითითებულია მოგზაურობის (პაკეტის) აღწერილობაში; აღნიშნული ბუნდოვანი მითითების საპირისპიროდ, ახალი 2015/2302 დირექტივის მიხედვით ტურისტების ნაკლები ოდენობის გამო მოგზაურს უნდა

---

[88] ცისკაძე მ., ჭანტურია ლ. (რედ), სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2001, გვ.296 https://tsufacultyoflaw.files.wordpress.com/2016/08/komentarebi-4-saxelshekrulebo.pdf

[89] კროპჰოლერი, ი., მთარგმნელები - ჭეჭელაშვილი ზ., დარჯანია თ., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოც., საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი GIZ-ის დავალებით, თბილისი, 2014, 490, ველი 2. http://www.library.court.ge/upload/giz2014-ge-BGB-Komm-Translation.pdf

ეცნობოს გამგზავრებამდე 20 დღით ადრე თუ მოგზაურობის პერიოდი 6 დღეზე მეტია; 7 დღით ადრე, თუ მოგზაურობა 2-დან 6 დღემდე პერიოდს მოიცავს და 48 საათით ადრე, თუ მოგზაურობის დრო 2 დღეზე ნაკლებია, ამ შემთხვევაში ორგანიზატორი დამატებით კომპენსაციას არ იხდის.[90]

ჯერ კიდევ 90/314/EEC დირექტივით განსაზღვრული იყო რომ სახელმწიფოებს ევალებოდათ მოგზაურობის ორგანიზატორისაგან ან საცალო მოვაჭრისაგან მოეთხოვათ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულყოფილად შესრულება და ზიანის ანაზღაურება, რომელიც მათგან თუ პაკეტის შემსრულებელი რომელიმე სხვა მონაწილისაგან წარმოიშვა.[91] შესაბამისად პასუხისმგებლობის თვითშეზღუდვის ქართული კონსტრუქცია ძველი დირექტივის შესაბამისიც კი არ არის და ვერ უზრუნველყოფს ტურისტების უფლებების დაცვას.

2015/2302 დირექტივა წევრ სახელმწიფოებს უწესებს კონკრეტულ ვალდებულებას დააწესონ და განსაზღვრონ მოგზაურობის ორგანიზატორის პასუხისმგებლობა პაკეტის სრულყოფილად შესრულებაზე, მიუხედავად იმისა ხარვეზი წარმოიშვა მისი თუ სამგზავრო პაკეტის მომსახურების სხვა მიმწოდებლის ბრალით.[92] აღნიშნულის საფუძველზე მიზანშეწონილია, რომ სამოქალაქო კოდექსის 664-ე მუხლის შინაარსი პირიქით უნდა შეიცვალოს და მან ერთი მხრივ, უნდა აკრძალოს ორგანიზატორის მიერ პასუხისმგებლობის თვითშეზღუდვა, ხოლო, მეორე მხრივ, დააწესოს მისი პასუხისმგებლობა პაკეტის სრულყოფილად შესრულებაზე, ბრალის მიუხედავად. ასეთ შემთხვევაში ტურისტები უფრო დაცულად იგრძნობენ თავს და აქტიურად

---

[90] Directive (EU) 2015/2302, supra N. 75, art. 12, paragraph 3, იხ. https://eur-lex.europa.eu/legalcontent/EN/TXT/?uri=CELEX%3A32015L2302

[91] Council Directive 90/314/EEC, supra N. 74, art. 5, paragraph 1 იხ. https://eurlex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:31990L0314:en:HTML

[92] Directive (EU) 2015/2302, supra N. 75, art. 13, paragraph 1, იხ. https://eur-lex.europa.eu/legalcontent/EN/TXT/?uri=CELEX%3A32015L2302

გააფორმებენ სამოგზაურო ხელშეკრულებებს, რაც თავის მხრივ, საბაზრო კუთხით მეტ აქტივობას გამოიწვევს.

3.7. ხარვეზი ტურისტულ მომსახურებაში

სამოქალაქო კოდექსი ტურისტული მოგზაურობის ხარვეზის დასადგენად არაორაზროვან კრიტერიუმებს გვთავაზობს (659-ე მუხლი). ხარვეზად ჩაითვლება ნებისმიერი ფაქტი, გარემოება თუ მოვლენა, რომელსაც შეუძლია „გააუფასუროს ან შეამციროს მოგზაურობის მნიშვნელობა ჩვეულებრივი ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის“ (659 მუხლის I ნაწილი). ამავე დროს, ხარვეზის სამართლებრივი შეფასებისათვის აუცილებელია, რომ მის წარმოქმნაში მოგზაურობის მომწყობის მოქმედების, ან უმოქმედების პირდაპირი შედეგი იკვეთებოდეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ტურ-ოპერატორის ბრალის გარეშე მოვლენის, ფაქტის თუ გარემოების ხარვეზად მიჩნევა ნაკლებად შესაძლებელია. მას შეიძლება პასუხისმებლობა დაეკისროს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოგზაურობის მოწყობისას ვერ უზრუნველყო ისეთი ხარვეზების თავიდან აცილება, რაც მის კომპეტენციაში შედიოდა (659 I). მოგზაურობის მომწყობი პასუხს აგებს მხოლოდ იმ ხარვეზებისათვის, რომლებიც მის მიერ შეთავაზებულ პაკეტს ჰქონდა.[93]

სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 659-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს ქცევის წესს, რომლის თანახმად, მოგზაურობის მომწყობი მოვალეა იმგვარად მოაწყოს მოგზაურობა, რომ მას არ ჰქონდეს ისეთი ხარვეზები, რომლებსაც შეუძლიათ, გააუფასურონ ან შეამცირონ მოგზაურობის მნიშვნელობა ჩვეულებრივი ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის. 660-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს, მოგზაურობის ხარვეზის გამო, ღირებულების შემცირების შესაძლებლობას, კერძოდ, ნორმის დანაწესით, თუ მოგზაურობა ხარვეზიანია, მაშინ მისი ღირებულება მცირდება იმ დროის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც არსებობდა ხარვეზები.

[93] თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №2/472-17; 29 მაისი, 2018 წელი, თბილისი. www.info.court.ge

აღნიშნული ნორმების განმარტებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ წესზე, რომ მოგზაურობის გაუფასურება, ისე როგორც მისი ღირებულების შემცირება მოგზაურობის ხარვეზს წარმოადგენს. ამასთან, მიუხედავად იმისა, არსებობს რაიმე უმნიშვნელო ხარვეზი, თუ მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო, მოგზაურობამ საერთოდ დაკარგა ინტერესი (გაუფასურდა), კანონი ითვალისწინებს მხოლოდ ხარვეზიანად მიჩნეული პერიოდის შესაბამისი თანხის დაბრუნებას ტურისტისთვის. მორალური ზიანის დაზუსტება შესაძლებელია იმ არამატერიალური სიკეთის განსაზღვრით, რომლის ხელყოფაც უნდა ანაზღაურდეს.[94] ამგვარ შემთხვევას კანონი განიხილავს ხარვეზიან მოგზაურობად და ითვალისწინებს მისი ღირებულების შემცირებას და არა სრულად თანხის დაბრუნების ვალდებულებას. ტურისტს რჩება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება სამოქალაქო კოდექსის 662-ე მუხლის საფუძველზე, რაშიც იგულისხმება ის ქონებრივი დანაკლისი, რაც მან მომსახურების ხარვეზის გამო მიიღო (ვიზის თანხა, მოცდენილი შვებულების ანაზღაურება, კრედიტით სარგებლობის პროცენტი და ა.შ).[95]

ამასთანავე, სსკ-ს 662-ე მუხლის მე-2 ნაწილით ტურისტს შეუძლია შვებულების უსარგებლოდ დაკარგვით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაც მოთხოვოს ორგანიზატორს. იგივე ჩანაწერს შეიცავს გსკ-ს § 651ვ. (2) მუხლი, რომლის თანახმადაც უსარგებლოდ დაკარგული შვებულების ანაზღაურების კომპენსაციის ოდენობა შეიძლება განისაზღვროს მოგზაურობის ღირებულების ოდენობით.[96]

სამოგზაურო პაკეტების დირექტივა 2015/2302 იცავს ევროპელ მოგზაურთა უფლებებს, როდესაც საქმე ეხება ტურსტული პაკეტის

---

[94] ძლიერიშვილი ზ. და სხვები. სახელშეკრულებო სამართალი, გვ. 665, (სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის), მერიდიანი, თბილისი, 2014, http://ewmiprolog.org/images/files/8463

[95] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 04 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-510-484-2013.

[96] კროპჰოლერი, ი., მთარგმნელები - ჭეჭელაშვილი ზ., დარჯანია თ., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოც., საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი GIZ-ის დავალებით, თბილისი, 2014, 496, ველი 6. http://www.library.court.ge/upload/giz2014-ge-BGB-Komm-Translation.pdf

დაჯავშნას, მისი გაუქმების პირობებს, პასუხისმგებლობას, რეპატრიაციას და ტურის ღირებულების უკან დაბრუნებას. ტურისტი უფლებრივად უპირატეს მდგომარეობაში უნდა იყოს, ვინაიდან, სახელშეკრულებო ურთიერთობაში იგი შედარებით სუსტ მხარეს წარმოადგენს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 და 657[2] მუხლების საფუძველზე ტურისტული კომპანიის, როგორც ორგანიზაციული ფორმის ხელშეკრულების ძლიერი მხარისადმი ტურისტის მაღალი ნდობა გამოწვეულია იმ გარემოებითაც, რომ მოპასუხე ახორციელებს რა ბაზარზე მოგზაურობის მოწყობას იგი ფლობს და ტურისტს აწვდის უტყუარ ინფორმაციას ამ საქმინობის ფარგლებში, ამგვარი სტანდარტის დაწესება სრულად შეესაბამება სამოქალაქო უფლებათა კეთილსინდისიერად განხორციელების პრინციპს.[97]

ევროკავშირის ახალი რეგულაციებით ზოგიერთი მომსახურება, რომელიც ტურისტული პაკეტის შემადგენელი ნაწილია, არ უნდა ჩაითვალოს ცალკე მომსახურებად. ამის ყველაზე კარგი მაგალითებია ტრანსპორტით გადაადგილება შემეცნებითი ტურის ფარგლებში, აუზზე წვდომა სასტუმროში განთავსების ფარგლებში. თუ ასეთ მომსახურების მიღებაზე ტურისტს დამატებითი ღირებულების გადახდა მოუწევს მას შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება სამოქალაქო კოდექსით, თუმცა სამოქალაქო კოდექსი ძირითად აქცენტს ტურისტული პაკეტის ხარვეზებზე აკეთებს და ევროპული რეგულაციებისგან განსხვავებით, სადაც მეტი კონკრეტიკაა აღნიშნულ საკითხში, ქართული საკანონმდებლო რეგულირება ძირითადად აბსტრაქტულ ხასიათს ატარებს.

მაგალითისათვის, 2015/2302 დირექტივის მიხედვით, წევრმა სახელმწიფოებმა კანონმდებლობით უნდა განსაზღვრონ სხვადასხვა პროცენტები, რომელთა ოდენობით ფასის გაზრდისას მოგზაურს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება, აგრეთვე გაწერილია დამატებით კომპენსაციის სახეებიც. ამ კუთხით მსგავსი რეგულაციების თვალსაზრისით ქართული კანონმდებლობა დუმს, რაც, თავის მხრივ, ხელს უშლის ტურისტების

[97] თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №2ბ/2304-17; 28 მარტი, 2018 წელი, თბილისი, www.info.court.ge

უფლებების უკეთ დაცვას. სამოქალაქო კოდექსით მხოლოდ 20 დღიანი ვადაა დადგენილი, რომლის შემდეგაც არ შეიძლება ფასის შეცვლა. სხვა დანარჩენი დეტალი საკანონმდებლო რეგულირებით გათვალისწინებული არ არის.

ამასთანავე, 2015/2302 დირექტივა დამატებით განსაზღვრავს, რომ ხარვეზის აღმოსაფხვრელად მოგზაურობის ორგანიზატორს შეუძლია ალტერნატიული მომსახურებები შესთავაზოს ტურისტს, თავის მხრივ ტურისტი უფლებამოსილია არ მიიღოს შეთავაზებული მომსახურება, თუ არ იქნება საკმარისი დასაბუთება, რომ შეთავაზებული მომსახურება იგივე ან მეტი ღირებულებისა და ხარისხისაა.[98] სამოქალაქო კოდექსით ტურისტს არც ასეთი შეთავაზების მიღების და არც შეთავაზებაზე გადაწყვეტილების მიღების პრივილეგია არ აქვს. 2015/2302 დირექტივა კი უფრო შორს მიდის და წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს განსაზღვრონ გონივრული ვადა, რომლის განმავლობაშიც აცნობებს პასუხს მოგზაური, აგრძელებს ხელშეკრულებას, წყვეტს თუ ალტერნატივას ირჩევს. დადგენილ ვადაში პასუხის შეუტყობინებლობის შედეგებიც წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ ეროვნულ კანონმდებლობაში.[99] აგრეთვე 25-ე მუხლით ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, უზრუნველყონ ეროვნულ კანონმდებლობაში სანქციების, ჯარიმების განსაზღვრა, რომლებიც მოგზაურობის ორგანიზატორებს თავიანთი ვალდებულებების დარღვევის გამო დაეკისრებათ.[100]

სამოქალაქო კოდექსის 665-ე მუხლის პირველი ნაწილი ტურისტს უფლებას ანიჭებს, მოგზაურობის დაწყებამდე ნებისმიერ დროს უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუმცა ამავე მუხლის მეორე ნაწილით მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა გადაიხადოს თანხა, რომელიც ხარჯის სახით

---

[98] Directive (EU) 2015/2302, supra N. 75, art. paragraph 4,5. იხ. https://eur-lex.europa.eu/legalcontent/EN/TXT/?uri=CELEX%3A32015L2302

[99] Directive (EU) 2015/2302, supra N. 75, art. 11, paragraph 3 იხ. https://eur-lex.europa.eu/legalcontent/EN/TXT/?uri=CELEX%3A32015L2302

[100] Directive (EU) 2015/2302, supra N. 75, იხ. https://eur-lex.europa.eu/legalcontent/EN/TXT/?uri=CELEX%3A32015L2302

მოგზაურობის მოწყობმა უკვე გასწია. მუხლის შინაარსიდან გამომდინარე ორგანიზატორს მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნის უფლება არ აქვს.[101] საკასაციო სასამართლოს განმარტებით, აგრეთვე, შესაბამისი ანაზღაურების მოთხოვნა ტურისტულ საწარმოს მხოლოდ ხარჯების მოთხოვნის უფლებას უტოვებს და გამორიცხავს მისთვის მიუღებელი შემოსავლის (მოგების) ანაზღაურებას.[102]

90/314/EEC დირექტივა არ განსაზღვრავდა ტურისტის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის სამართლებრივ შედეგებს, აღნიშნულიდან გამომდინარე ტურისტული კომპანიები მაღალ პირგასამტეხლოს აწესებდნენ ხელშეკრულებაზე უარის თქმის დროს.[103] 2015/2302 დირექტივა უფლებას აძლევს მოგზაურს გამგზავრებამდე 14 დღით ადრე გავიდეს ხელშეკრულებიდან ყოველგვარი მიზეზის და ახსნა-განმარტების გარეშე.

3.8. დაუძლეველი ძალა ტურისტულ მომსახურებაში.

ახალი დირექტივით ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ განსაზღვრონ, ტურისტმა მოგზაურობის დაწყებამდე ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, გადაიხადოს შეწყვეტის საფასური, რომელზეც მხარეები თავიდანვე უნდა იყვნენ შეთანხმებულნი, მაგრამ აღნიშნული არ ვრცელდება გარდაუვალი და საგანგებო ვითარების გამო ხელშეკრულების შეწყვეტისას.[104]

გარდაუვალი და საგანგებო ვითარება სამოქალაქო კოდექსში წოდებულია დაუძლეველ ძალად. ტურისტულ მომსახურებასთან მიმართებით ქართული კანონმდებლობა სამოქალაქო კოდექსის 666-ე მუხლით აწესრიგებს დაუძლეველი ძალით გამოწვეულ შედეგებს. დაუძლეველი ძალის გამო ხელშეკრულების შეწყვეტისას მოგზაურობის

---

[101] ცერცვაძე გ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, 13.04.2016, მუხ. 665, ველი 3-4; www.gccc.ge,

[102] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1114-2019.

[103] ცერცვაძე გ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, 13.04.2016, მუხ. 665, ველი 6; www.gccc.ge

[104] Directive (EU) 2015/2302, supra N. 75, art. 12, paragraph 1, 2, 5., იხ. https://eur-lex.europa.eu/legalcontent/EN/TXT/?uri=CELEX%3A32015L2302

მომწყობი კარგავს შეთანხმებული ანაზღაურების მიღების უფლებას, მაგრამ მას შეუძლია, მოითხოვოს ანაზღაურება უკვე გაწეული უხარვეზო მომსახურებისთვის სამოქალაქო კოდექსის 661-ე მუხლის შესაბამისად. ამასთანავე, სამოქალაქო კოდექსის 666-ე მუხლის მეორე ნაწილის ფორმულირება, ასევე არ გამორიცხავს, დამატებითი ხარჯების ანაზღაურების მთლიანად ტურისტისათვის დაკისრებას. დეტალებს კანონმდებელი არც ამ შემთხვევაში აკონტროლებს და სამოსამართლო სამართალს მოქმედებს საკმაოდ ფართო ასპარეზს უტოვებს.[105]

ახალი დირექტივა არეგულირებს ისეთ შემთხვევებსაც როდესაც მომხმარებელი/მოგზაური, ტექნიკური მიზეზების გამო (მაგ, ბუნებრივი კატასტროფა), ვერ ახერხებს უკან დაბრუნებას. ასეთ დროს, ტურის ორგანიზატორმა მომხმარებელი სამი დღის განმავლობაში უნდა უზრუნველყოს უფასო საცხოვრებლით. ტურისტული პაკეტის ორგანიზატორმა, საჭიროების შემთხვევაში, დახმარება უნდა გაუწიოს მოგზაურს, მაგალითად, მიაწოდოს ინფორმაცია ჯანმრთელობის სერვისებზე, საკონსულო მონაცემებზე და ა.შ. ამისგან განსხვავებით, სამოქალაქო კოდექსი მხოლოდ ზოგად ჩანაწერს შეიცავს ტურისტების რეპატრიაციის თაობაზე. ასეთ დროსაც თითოეულ მხარეს ეკისრება უკან მიყვანის დამატებითი ხარჯების ნახევარი. სხვა შემთხვევაში დამატებითი ხარჯები ეკისრება ტურისტს.[106]

ახალი დირექტივის თანახმად მოგზაურს შეუძლია ნებისმიერ დროს გააუქმოს ტურისტული პაკეტი, გონივრული საფასურის სანაცვლოდ. იმ შემთხვევაში, თუ დანიშნულების ადგილი გარდაიქმნა სახიფათო ტერიტორიად სხვადასხვა მიზეზების გამო, მაგალითად, ომი ან ბუნებრივი კატასტროფა, მომხმარებელს შეუძლია გააუქმოს ტურისტული პაკეტი ყოველგვარი საფასურის გადახდის გარეშე. მომხმარებელს ასევე შეუძლია სრულიად უფასოდ გააუქმოს ტურისტული პაკეტი, თუ მისი ფასი საწყისი

---

[105] ცერცვაძე გ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, 13.04.2016, მუხ. 666, ველი 10; www.gccc.ge

[106] შდრ. სამოქალაქო კოდექსის 666 მუხლი.

ფასის 8%-ზე მეტით გაიზარდა. ფასის ცვლილება თითქმის ყოველთვის უთნახმოების წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს.[107] ამასთანავე, ახალი 2015/2302 დირექტივის მე-18 შენიშვნის თანახმად თუ სხვა მომსახურება აღემატება 25%-ს მაშინ ის უნდა მიიჩნიონ პაკეტის ღირებულების მნიშვნელოვან პროპორციად ან დაკავშირებულ სამგზავრო შეთანხმებად.[108] ამ კუთხით სამოქალაქო კოდექსი კონკრეტულ ზღვარს არ ასახელებს ფასის ცვლილების კუთხით და შეზღუდვა ეხება გამგზავრების დღემდე 20 (ოცი) დღის განმავლობაში ტურისტული პაკეტის ღირებულების გაზრდის აკრძალვას.

აბსტრაქტულობის მუქი ფონი, რომელიც მთელ სამოქალაქო კოდექსს გასდევს, განსაკუთრებულად მტკივნეული ტურისტული მომსახურეობის ნორმებისთვის არის, ვინაიდან იგი არაპროგნოზირებად სამართლებრივ შედეგებს განაპირობებს. მართალია, მხარეთა შორის ხელშეკრულებით შეიძლება რეგულირდებოდეს ის რაც კანონით მოწესრიგებული არ არის, მათ შორის ხელშეკრულების გასვლასა ან/და დაუძლეველი ძალის შედეგებთან დაკავშირებით, მაგრამ სამოქალაქო კოდექსის 667-ე მუხლის თანახმად ტურისტულ მომსახურებასთან დაკავშირებული წესები არ უნდა შეიცვალოს მოგზაურის საზიანოდ. შესაბამისად, ყოვლად მიუღებელია კანონი ტურისტს აკისრებდეს დამატებითი ხარჯების მთლიანად ტურისტისთვის დაკისრებას და აღნიშნული ხელშეკრულებაშიც შეიძლება აისახოს. მიზანშეწონილია, სამოქალაქო კოდექსის 666-ე მუხლს შეეცვალოს სახელი და აღარ იწოდებოდეს იგი დაუძლეველ ძალად, არამედ მსგავსად ევროპული რეგულირებისა ეწოდოს საგანგებო ვითარება ან გარდაუვალი მოვლენა, თუნდაც ფორს-მაჟორი, ვინაიდან, დასახელება ,,მუხლი 666 დაუძლეველი ძალა" კატეგორიულად მიუღებლად შეიძლება მივიჩნიოთ.

3.9. ხანდაზმულობა ტურისტული მომსახურების ხელშეკრულებაში.

---

[107] McDonald, European Community Tourism Law and Policy, 2003, p. 296.

[108] Directive (EU) 2015/2302, supra N. 75, იხ. https://eurlex.europa.eu/legalcontent/EN/TXT/?uri=CELEX%3A32015L2302

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად სახელშეკრულებო ვალდებულებებზე ვრცელდება მოთხოვნათა 3 წლიანი ხანდაზმულობის ვადა, თუმცა ამავე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, ამა თუ იმ ურთიერთობის სპეციფიკის გათვალისწინებით შესაძლოა სპეციალური ვადებიც დაწესდეს. სწორედ ასეთ ვადებს ადგენს სამოქალაქო კოდექსის 663-ე მუხლი. ტურიზმის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობები მოკლევადიანია, ამიტომ უფლებათა განხორციელების ვადებიც სპეციალური რეგულირების გზით არის შემცირებული. კანონმდებელი ტურისტისაგან აქტიურ მოქმედებას ითხოვს რაც არ წარმოადგენს სამართლიან მიდგომას, შემჭიდროვებული ვადების გამო. მართალია, თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევები იძლევა შესაძლებლობას, მოთხოვნა (მათ შორის სასამართლოშიც) პლანეტის ნებისმიერი წერტილიდან იქნას წარდგენილი და ფიზიკურად ტურ-ოპერატორის, ან სასამართლოს მისაღებში მისვლას ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს,[109] მაგრამ ტურისტი, რომელიც დასვენების ნაცვლად გაწამებულია მოგზაურობით და არსებული ხარვეზების გამო მზადაა ყველაფრისთვის აგებინოს პასუხი ორგანიზატორს, არ უნდა იზღუდებოდეს გაუმართლებლად შემჭიდროებული ვადებით, მითუმეტეს ასეთი სპეციალური სამართლებრივი ცოდნა მას შეიძლება არც გააჩნდეს და არც შეიძლება მოეთხოვებოდეს.

სამოქალაქო კოდექსის 663-ე მუხლის თანახმად, 659-662-ე მუხლებში გათვალისწინებული მოთხოვნები ტურისტს შეუძლია წარუდგინოს მოგზაურობის მომწყობს ხელშეკრულებაში მითითებული მოგზაურობის ვადის გასვლის შემდეგ ერთი თვის მანძილზე. ვადის გასვლის შემდეგ ტურისტს შეუძლია წარადგინოს თავისი მოთხოვნები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ბრალი არ მიუძღვის მოთხოვნის წარდგენის ვადის გადაცილებაში. მოცემული ნორმიდან გამომდინარე ტურისტულ

[109] ცერცვაძე გ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 18.04.2016, მუხ. 663, ველი 12. http://www.gccc.ge/

ხელშეკრულებას აქვს სპეციალური ხანდაზმულობის 1 თვიანი ვადა, ამ ვადაში უნდა მოხდეს პრეტენზიის წაყენება. წინააღმდეგ შემთხვევაში მოთხოვნა ხანდაზმულია.

ტურისტის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ექვს თვეს. ეს ვადა იწყება იმ დღიდან, როდესაც ხელშეკრულებით მოგზაურობა უნდა დამთავრებულიყო. თუ ტურისტი მოთხოვნებს წარადგენს ხანდაზმულობის ვადის დაწყებამდე, მაშინ ხანდაზმულობის ვადა შეჩერდება იმ დღემდე, რომელ დღესაც მოგზაურობის მომწყობი უარყოფს მოთხოვნას. აღნიშნული დათქმა ემსახურება ან ისეთ მოგზაურობას, რომელიც საერთოდ არ შემდგრა ან ჩაიშალა, ვინაიდან მოთხოვნის წაყენება უნდა მოხდეს მანამდე, სანამ მოგზაურობა დასრულდება; ან ისეთ ტურისტს, რომელიც დაყოვნების გარეშე ცდილობს მოთხოვნის დაკმაყოფილებას. თავის დროზე, კანონმდებელმა თანაზომიერების პრინციპის გათვალისწინებით შემოიღო ეს უფლებათა განხორციელების არც თუ მარტივი წესი, რომელიც წესით პრივილეგირებულ მდგომარეობაში ტურისტს უნდა აყენებდეს ვინაიდან მოგზაურობის მომწყობის ბრალეული ქმედება არის მძიმე, რადგანაც ტური არ შედგა/ჩაიშალა.

საკასაციო სასამართლო ხანდაზმულობასთან დაკავშირებითაც განმარტავს, რომ სსკ-ის 663-ე მუხლის პირველი ნაწილი ტურისტის მიერ მოგზაურობის ვადის გასვლის შემდეგ ერთი თვის ვადაში მეორე მხარისათვის მოთხოვნის წაყენებას პირობას ეხება (რომელიც ეხება მოგზაურობის ხარვეზებთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგებას), წინააღმდეგ შემთხვევაში კი, იგი იმავე მუხლის მე-2 ნაწილით ვერ ისარგებლებს, რომლის თანახმად, ტურისტის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა ექვს თვეს შეადგენს.[110]

ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალდებული პირი უფლებამოსილია, უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე. სასამართლოსათვის მიმართვის გზით საკუთარი უფლებების დასაცავად

[110] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1114-2019

ხანდაზმულობის ვადასთან ერთად დამატებითი წინაპირობაც არის დადგენილი. თავისი უფლებების კანონით დადგენილი წესით და მითითებულ ვადებში რეალიზაციისათვის ტურისტმა აუცილებლად უნდა შეასრულოს მეორე მხარისათვის ერთი თვის ვადაში მოთხოვნის წაყენების პირობა. ტურისტის ინტერესებში უნდა შედიოდეს შეტყობინების ისეთი ფორმით გაგზავნა, რაც მოგვიანებით მტკიცების გამარტივების შესაძლებლობას მისცემს როგორც პირადად მას, ასევე მეორე მხარეს.[111]

ახალი ევროპული დირექტივა ითვალისწინებს ტურისტისათვის ფასის შემცირებისა და ზიანის ანაზღაურების საკითხებს ორგანიზატორის მიერ. აღნიშნული პრეტენზიების წარდგენის ხანდაზმულობის ვადა არ უნდა იყოს ორი წელზე ნაკლები.[112] დირექტივის ეს იმპერატიული ჩანაწერი ზუსტად მეტყველებს თუ როგორ არ უნდა იქნას ტურისტების უფლებების დაცვა შეზღუდული შემჭიდროვებული ხანდაზმულობის ვადებით, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია შევიდეს ცვლილება სამოქალაქო კოდექსში ხანდაზმულობის ვადებთან დაკავშირებითა და მოერგოს იგი ევროპულ კონიუქტურას. გაუმართლებელია კანონმდებლის მიერ ხანდაზმულობის ვადების დაყოფა ორგანიზატორთან და სასამართლო ორგანოსთან მიმართებით. უმჯობესია იყოს საერთო ხანზდაზმულობის ვადა არანაკლებ ორი წლის ვადით, თუმცა, ვინაიდან, დირექტივის ჩანაწერი მინიმალურ სტანდარტს აწესებს, უკეთესი იქნება, თუკი ტურისტული მომსახურების ხელშეკრულებაზე გავრცელდება ხანდაზმულობის საერთო, სამ წლიანი ვადა.

---

[111] ცერცვაძე გ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 18.04.2016, მუხ. 663, ველი 7. http://www.gccc.ge/

[112] Directive (EU) 2015/2302, supra N. 75, art. 14, paragraph 6, იხ. https://eur-lex.europa.eu/legalcontent/EN/TXT/?uri=CELEX%3A32015L2302

IV. დასკვნა

როგორც მოცემული მსჯელობიდან ვხედავთ, ევროკავშირი უზრუნველყოფს ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების ყველაზე დაუცველი მხარის დაცვას. ზოგადად, ყველა მოგზაური, როგორც მომხმარებელი დაცულია ევროკავშირის ზოგადი კანონებითა და შესაბამისი ნორმებით; ამასთან, ტურისტული პაკეტის ტურნეში ჩართვისას, მოგზაური სარგებლობს დამატებითი დაცვით შესაბამისი დირექტივის საშუალებით. საქართველოში კი სამწუხაროდ, არც მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ გვაქვს რაიმე მოქმედი კანონი და მოგზაურთა უფლებების დამცველი ნორმებიც უამრავ ხარვეზს შეიცავენ, რომელნიც ვერ უზრუნველყოფენ ტურისტების უფლებათა სათანადო დაცვას.

ევროკავშირმა საჭირო მოქმედებები შეასრულა და ტურისტული პაკეტის ორგანიზატორი დაავალდებულა ტურისტისათვის სპეციალური და სწორი ინფორმაციის მოთხოვნასთან და მიწოდებასთან დაკავშირებით, მიიღო ხელშეკრულების უსამართლო პირობების აღმოფხვრასთან დაკავშირებული წესები, დააწესა უსაფრთხოების ზომები მომსახურების მიმწოდებლის გადახდისუუნარობის თვალსაზრისით და მოგზაურობის ორგანიზატორთა მკაფიო ვალდებულებები განსაზღვრა. აღნიშნულისგან განსხვავებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ბევრი დანაწესი ბუნდოვანია და განმარტებისას ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. შესაბამისი სანქციების არარსებობა და კანონმდებლის მყიფე პოზიცია დარგის რეგულირებასთან დაკავშირებით ბევრ ნორმას სიცოცხლისუნარიანობას უკარგავს. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 662[2] მუხლით განსაზღვრული ,,უსაფრთხოების მტკიცე გარანტიების წარდგენა“ მოითხოვს მეტ კონკრეტიკას რეგულირებისა და სანქციების ჭრილში.

დღეისათვის ევროკავშირის ჩარჩო პოლიტიკა ტურიზმის სფეროში ეფუძნება შესაბამის იურიდიულ ბაზისებს. ევროკავშირი აღიარებს გადამწყვეტ როლს, რომელსაც ტურიზმის სექტორი ასრულებს

ევროკავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების ეკონომიკურ განვითარებაში. ამრიგად, ევროკავშირმა ჩამოაყალიბა თავისი მიზნები და მათ მისაღწევად გააძლიერა ტურიზმის სექტორის კონკურენტუნარიანობა და მომსახურების შიდა ბაზრის ორგანიზება წევრ სახელმწიფოებს შორის, მათი თანამშრომლობით, ერთობლივი ინიციატივების მხარდაჭერით და შემდგომი ხელშეწყობით. ამ საერთო მოცემულობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ საქართველომაც გაატაროს მთელი რიგი სამართლებრივი ღონისძიებები, რათა ტურიზმი, რომელსაც გადამწყვეტი როლი აქვს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, განვითარდეს როგორც კონკურენტუნარიანი და საერთო ევროპული ბაზრის შემადგენელი ნაწილი.

1990 წლის სამოგზაურო პაკეტების დირექტივის მთავარი უკმაყოფილების მიზეზი იყო საცალო ვაჭრობის ან/და მომსახურების უზრუნველყოფა. მომხმარებლები ჩიოდნენ, რომ ისინი არ იყვნენ კმაყოფილი მომსახურებითა და ორგანიზატორს უნდა დაკისრებოდა სრული პასუხისმგებლობა მომსახურების სწორად შესრულებისა და პროდუქციის გაყიდვისთვის. 1990 წლის დირექტივის გადახედვისა და რეფორმისათვის მთავარი იმპულსი იყო ცვლილებები სამომხმარებლო ბაზარზე, რომლებიც ეხებოდა ონლაინ გაყიდვების საშუალებების აქტიურ დანერგვისა და ბაზარზე დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანიების ზრდას. ამასთანავე, მალე მოძველდა ტრადიციული მეთოდები და სტრატეგიები, როგორიცაა: მაგალითად, სარეკლამო ბროშურები. ტურისტულ სექტორში ახალი მიმართულებები განვითარდა ინტერნეტ გაყიდვებისა და ციფრული მარკეტინგის სახით, რომელიც ძველი დირექტივით არ რეგულირდებოდა. ასევე, ძველი დირექტივით ერთიანი სამართლებრივი მოწესრიგების ნაკლებობა და წესების ფრაგმენტაცია იყო იურიდიულ საკითხებთან დაკავშირებით. ტურისტული საწარმოებს, რომლებიც ყიდდნენ თანაბარ მომსახურებას, არ ქონდათ ევროპაში თანაბარი კონკურენციის შესაძლებლობა, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში სხვადასხვა წესების არსებობის გამო.

2015 წლის სამოგზაურო პაკეტის დირექტივა ქმნის თანაბარი თამაშის წესებს, რომლითაც ყველა ტურ-ოპერატორი და ტურისტული სააგენტო იმოქმედებს, დაწყებული ინფორმაციის მოთხოვნების ერთიანი წესებით და დამთავრებული გადახდისუუნარობისაგან დაცვის ჰარმონიზებული ჩარჩო სქემებით. მნიშვნელოვანია ტურისტებისათვის ინფორმაციის მიწოდების შაბლონური დანართები გადმოიტანოს საქართველომ ეროვნულ კანონმდებლობაში და აგრეთვე მოახდინოს გადახდისუუნარობის კანონის ოპტიმიზაცია, რათა მოაქციოს იგი ევროკავშირის ჰარმონიზირებულ ჩარჩო საკანონმდებლო სივრცეში.

2015/2302 დირექტივით სამოგზაურო პაკეტის კანონმდებლობა განახლდა და სრულყოფილი ხასიათი მიეცა. გაფართოვდა ტურისტული პაკეტების მასშტაბი და გამოიკვეთა სამართლებრივი ჩარჩო, რომლის საფუძველზეც მომხმარებლებს მიეცათ შესაძლებლობა უფრო დაცულად იგრძნონ თავი მოგზაურობაში. განახლებულია ინფორმაციის მოთხოვნები და წინასწარი სახელშეკრულებო ინფორმაცია აღარ შემოიფარგლება მხოლოდ ბროშურებით. ახალი სამოგზაურო დირექტივა მკაფიო მითითებებს მოიცავს ინფორმაციის მოთხოვნების ფორმულირებისა და ხასიათის შესახებ და განსაზღვრავს საინფორმაციო შაბლონებს, რომლებიც უნდა გამოქვეყნდეს ორგანიზატორების ვებსაიტებზე. მოგზაურები ასევე სარგებლობენ ხელშეკრულების გაუქმების უფრო ძლიერი უფლებებით და მათ შეუძლიათ გააუქმონ ტურისტული პაკეტი ყოველგვარი საფასურის გადახდის გარეშე. აგრეთვე ფასების ცვლილებებთან დაკავშირებული ახალი წესები მომხმარებლის სასარგებლოდაა მიღებული და მას აგრეთვე შეუძლია სრულიად უფასოდ გააუქმოს ტურისტული პაკეტი, თუ პაკეტის ფასი საწყისი ფასის 8%-ზე მეტით გაიზარდა. ასეთ პირობებში საქართველომ დარგის სასიცოცხლო მნიშვნელობიდან გამომდინარე სრულად უნდა ასახოს ახალი რეგულაციები საინფორმაციო შაბლონების და საპროცენტო განაკვეთების ჩათვლით.

ახალი დირექტივით ასევე მეტი სიცხადეა პასუხისმგებელ მხარესთან მიმართებაში იმ შემთხვევებში, როდესაც რაღაც არასწორედ მიმდინარეობს მოგზაურობის დროს. ყველა ასეთ შემთხვევაში, ორგანიზატორი პასუხისმგებელია სამოგზაურო პაკეტის ხელშეკრულების შესრულებაზე, თუნდაც ესა თუ ის კონკრეტული მომსახურების შესრულება გათვალისწინებული იყოს მომსახურების სხვა მომწოდებლების მიერ. აღნიშნულ ფონზე, სამოქალაქო კოდექსი ყოვლად მიუღებელ ჩანაწერს გვთავაზობს ორგანიზატორის მიერ პასუხისმგებლობის თვითშეზღუდვის სახით, რომელიც არ შეესაბამება თანამედროვე ევროპულ მიდგომებს.

ამასთან, ახალი დირექტივა ასევე ითვალისწინებს მკაფიო მოთხოვნებს მოგზაურთა რეპატრიაციის აროგორც მათთვის თანხების დაბრუნების ნაწილში, აგრეთვე ტურისტების უსაფრთხოების კუთხით. უსაფრთხოება და მშვიდობა ძალიან მნიშვნელოვანია და ტურიზმზე დიდ გავლენას ახდენს[113]. საჭიროების შემთხვევაში, ორგანიზატორმა მომხმარებელი სამი დღის განმავლობაში უნდა უზრუნველყოს უფასო საცხოვრებლით. ქართული კანონმდებლობით კი უკან დაბრუნების დამატებითი ხარჯები შესაძლოა ტურისტსაც კი დაეკისროს, რაც ევროპული სამართლის გადმოსახედიდან სრული ნონსესია.

მნიშვნელოვანია ახალი ევროპული დირექტივით განსაზღვრული დებულებები სრულყოფილად იქნას ასახული ეროვნულ კანონმდებლობაში, რომელიც პირდაპირ კავშირშია ტურიზმის განვითარებასთან, ტურიზმის განვითარება კი საბოლოოდ მიგვიყვანს სათანადო სამუშაო ადგილების შექმნით, მზარდი ხელფასისა და უკეთესი ცხოვრების გზამდე[114]. საქართველომ უნდა მოძებნოს დირექტივით გათვალისწინებული მოთხოვნების საკუთარ კანონმდებლობაში ასახვის

---

[113] Vuckovic J., Possible Threat of Terrorism on Tourist Destinations, International Journal Economics & Law, vol. 5, 2015, 119.
https://arrow.tudublin.ie/cgi/viewcontent.cgi?article=1052&context=ijrtp

[114] Ni L., Nurjava I. N., Priority Rights of Indigenous People with Respect to Sustainable Tourism Development, Journal of Law, Policy and Globalization, vol. 80, 2018, 119
https://www.iiste.org/Journals/index.php/JLPG/article/view/45844/47329

საუკეთესო საშუალება. მაგალითად, ნიდერლანდებმა ახალი დირექტივა ეროვნულ კანონმდებლობაში პირდაპირ თარგმნა და გადატანა. საქართველოს შემთხვევაში საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა დირექტივის ნაწილი ნორმებისა ასახულიყო სამოქალაქო კოდექსში, ხოლო ნაწილი გათვალისწინებული იქნას მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონში, რომელიც ქვეყანას აუცილებლად მისაღები აქვს.

წარმოდგენილი შედარებით-სამართლებრივი სურათის მიხედვით ნათლად ჩანს რომ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლებრივი რეგულირება შორს დგას ევროკავშირის რეგულაციებისგან, რომლის მარეგულირებელი ნორმებიც მოდიფიცირებულია თანამედროვე მოთხოვნებთან და სრულადაა ასახული ახალ 2015/2302 დირექტივაში. ამასთან, ძირითადი ცვლილებები, რაც სამოქალაქო კოდექსში 2006 წელს გატარდა, მეტ-ნაკლებად მორგებულია 90/314/EEC დირექტივაზე, რომელიც დღეისათვის გაუქმებულია. 16 წელი დასჭირდა კანონმდებელს, რათა 1990 წელს მიღებული დირექტივა აესახა ეროვნულ კანონმდებლობაში ისიც არასრული სახით და მნიშვნელოვანი გამონაკლისებით. იმედს ვიტოვებთ საკანონმდებლო რეგულირების სრულყოფის ტემპი დაჩქარდება და 2015 წლის დირექტივის ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვა შედარებით მალე მოხდება. აღნიშნული ოპტიმიზმის საფუძველს კი ასოცირების ხელშეკრულება იძლევა, სადაც აღნიშნული დირექტივის ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვა ოფიციალურადაა საქართველოს ვალდებულება და შესაბამისად გაწერილია კონკრეტული ვადები.

გამოყენებული ლიტერატურა

ქართული

1. ჭანტურია ლ. (რედ.), ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., ცისკაძე მ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი პირველი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2001.https://tsufacultyoflaw.files.wordpress.com/2016/08/komentarebi-4-saxelshekrulebo.pdf

2. ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“,თბილისი,2011 https://tsulawyers.weebly.com/uploads/1/1/7/0/117067068/chantura.pdf

3. ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005. https://iuristebi.files.wordpress.com/2011/07/ge-gtz-rezeption-des-europaeischen-privatrechts-in-georgien-2005.pdf

4. ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ. ჯუღელი გ. (რედ.), სახელშეკრულებო სამართალი (სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის), მერიდიანი, თბილისი, 2014 http://ewmi-prolog.org/images/files/8463Contract_Law_Textbook_GEO.pdf

5. კროპჰოლერი, ი., მთარგმნელები - ჭეჭელაშვილი ზ., დარჯანია თ., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოც., საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი GIZ-ის დავალებით, თბილისი, 2014. http://www.library.court.ge/upload/giz2014-ge-BGB-Komm-Translation.pdf

6. ლაკერბაია თ., ზაალიშვილი ვ., ზოიძე თ., ზოიძე ბ. (რედ.), მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი (ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა), შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი,თბილისი,2018. https://law.ibsu.edu.ge/api/uploads/Consumer-Law.pdf

7. მაისურაძე დ., სულხანიშვილი ე., ვაშაკიძე გ., ევროკავშირის კერძო სამართალი, გადაწყვეტილებები და მასალები, ნაწილი I, მომხმარებელთა დაცვის სამართალი, შრომის სამართალი, კორპორაციული სამართალი, კონკურენციის სამართალი, თბილისი, 2018.
http://lawlibrary.info/ge/books/2018giz-ge-evrokavshiris_kerdzo_samartali.pdf

8. ტურიზმის რეგულირება, პრიორიტეტული დარგის მოძველებული კანონმდებლობა, ბათუმის ტურიზმის ინსტიტუტი, ბათუმი, 2017, იხ. http://tourisminstitute.ge/files/attach/tourism_regulation.pdf

9. ხუნაშვილი ნ., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2014, იხ. http://www.library.court.ge/upload/nino_xunashvili.pdf

სტატია

10. ტყებუჩავა მ., ტურისტულ სააგენტოზე დაკისრებული შედეგის ვალდებულება და პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები (საქართველოსა და საფრანგეთის კანონმდებლობის მიხედვით), მართლმსაჯულება და კანონი №2 (37)2013, 96-104. http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ABA37.pdf

11. გაბიჩვაძე შ., ტურისტული მომსახურების სამოქალაქო სამართლებრივი რეგულირება, მართლმსაჯულება და კანონი №2 (37)2013, 74-80. http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ABA37.pdf

12. მაისურაძე ა., მომხმარებელთა უფლებების დაცვის საბაზისო მიდგომები სამართლის ოჯახების მიხედვით, სამართალი და მსოფლიო, #8, 2017, თბილისი, 106-126. http://lawandworld.ge/cms/upload/pdf/1394c66bba4e9efc4dea619c64ae22b1.pdf

13. იოსელიანი ა., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში (შედარებითსამართლებრივი გამოკვლევა), დოქტორანტთა სასემინარო ნაშრომები, ქართული სამართლის მიმოხილვა-სპეციალური გამოცემა, 2007, 12-70. https://tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/sam%20Jurnali-elveria-17,%20N2.pdf

კანონმდებლობა

14. საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული: 24.08.1995 წ.-ს, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის მიერ, დოკუმენტის №786, იხ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35.

15. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის. იხ. https://matsne.gov.ge/document/view/2496959?publication=0.

16. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი, მიღებული: 24.06.2005წ.-ს საქართველოს პარლამენტის მიერ, დოკუმენტის №1775, მუხლი 171, იხ. https://matsne.gov.ge/document/view/26824?publication=78.

17. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მიღებული: 26.06.1997წ.-ს საქართველოს პარლამენტის მიერ, დოკუმენტის №786, იხ. https://matsne.gov.ge/document/view/31702.

18. Council Decision of 16 June 2014 on the signing, on behalf of the European Union, and provisional application of the Association Agreement between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part (2014/494/EU)იხ:https://eur-lex.europa.eu/legalcontent/EN/TXT/?uri=uriserv:OJ.L .2014.261.01.0001.01.ENG&toc=OJ:L:2014:261:TOC.

19. Council Directive of 13 june 1990 (European); On package travel, package holidays and package tours (90/314/EEC), იხ. https://eurlex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:31990L0314:en:HTML.

20. Council Regulation (EC) No 539/2001 of 15 March 2001 listing the third countries whose nationals must be in possession of visas when crossing the external borders and those whose nationals are exempt from that requirement. იხ. https://publications.europa.eu/en/publication-detail/-/publication/1adda5a8-2d66-4c01-9179-174b404a0a3a.

21. Directive 2011/83/EU Of The European Parliament And Of The Council, of 25 October 2011, on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, იხ. https://eurlex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A32011L0083>.

22. Directive (EU) 2015/2302 Of The European Parliament And Of The Council of 25 November 2015 on package travel and linked travel arrangements, amending Regulation (EC) No 2006/2004 and Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 90/314/EEC, იხ. https://eur-lex.europa.eu/legalcontent/EN/TXT/?uri=CELEX%3A32015L2302

სასამართლო გადაწყვეტილებები

23. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2000 წლის 25 აგვისტოს №3კ/391-2000 გადაწყვეტილება. გამოქვეყნებულია: http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx

24. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 12 ნოემბრის №ას-1064-2018, გადაწყვეტილება გამოქვეყნებულია: http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 05 ივლისის №ას-726-2019 გადაწყვეტილება. გამოქვეყნებულია: http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx

ინგლისური

25. Anuar A. N. A., Ahmed H., Jusoh H., Hussain M. Y., Understanding the Role of Stakeholder in the Formation of Tourist Friendly Destination Concept, Published

by Canadian Center of Science and Education, Journal of Management and Sustainability; vol. 2, №2; 2012, 69-74. //pdfs.semanticscholar.org/4913/70bcd01d8c754eefc208886bf52ddb1f3d8a.pdf

26. Bar-Gill O., Ben-Shahar O., Regulatory Techniques in Consumer Protection: A Critique of European Consumer Contract Law, Common Market Law Review, 2013, 109-125 https://chicagounbound.uchicago.edu/cgi/viewcontent.cgi?article=5068&context=journal articles

27. Charter of rights for Tourists, Translated by Martinello F., Ebolo S., Pietro Di A., Muscatello V., ob. http://www.formez.it/sites/default/files/Carta_diritti_turista_en_def.pdf .

28. Condrea E., Popovici V., Bucur Crina R., The Consumers' Protection Romania-Authorities' Permanent Preoccupation, 600-605. ob. http://steconomiceuoradea.ro/anale/volume/2008/v2-economy-and-businessadministration/106.pdf.

29. Gherasim M. E., Tanase Gh., The Evolution and Inter-Depenence of Tourism with the Environment, Contemporary Readings in Law and Social Justice vol. 4(1), 2012, 457-470. http://atg.ps/pdf/Tourism_Environmental_Justice.pdf

30. Gutierrez J., B. Buigas B., Consumer Protection in Spain, Comparative Law Yearbook of International Business, Barcelona, 2014, 1-68. ob. http://www.buigas.com/webroot/files/Publications/img/articulos_107_Consumer_Protection_in_Spain.pdf .

31. Overview of Consumer Education in Europe, https://www.academia.edu/14258385/Overview_of_consumer_education_in_Europe.

32. Promoting Sustainable Consumption - Good Practices in OECD Countries, OECD, 2008, 1-62. ob. https://www.oecd.org/greengrowth/40317373.pdf

ვებ-გვერდის მისამართები

33. www.gccc.ge

34. https://eur-lex.europa.eu/

35. www.eugeorgia.info

36. www.parliament.ge

37. www.european.ge